86
178

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(32)

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1

იანვარი — თებერვალი

1978 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი—თებერვალი 1978 წ.

28056

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მიერ სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობაზე გადასვლის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები

2. წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების, სამინისტროებისა და უწყებების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესახებ.
3. „წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 17 თებერვლის № 83 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიათა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

4. ესაფრთხო შრომისა და წარმოების მაღალი კულტურის საწარმოს წოდების მოსაპოვებლად რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

5. საქართველოს სსრ ქალაქებში საცხოვრებელი სახლების გარეგნული სახის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ
6. საქართველოს სს რესპუბლიკაში სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის შეთანხმებისა და გაცემის წესის შესახებ
7. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმების შემუშავებისა და გამოყენების სისწორის შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ
8. საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის მთავარი რედაქციის შემადგენლობაში ამხ. ა. დ. ნიკვაძის შეყვანის შესახებ
9. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ჯილდოების წესის დებულების დამტკიცების შესახებ
10. ეროვნულ ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ
11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 14 სექტემბრის № 644 დადგენილებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 3 ოქტომბრის № 1184 განკარგულების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
12. საქმიანობის ცალკეულ სახეობათა მიხედვით სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) დებულებათა დამტკიცების შესახებ
13. საკვები ბალახების ჯიშიანი თესლის შესასყიდი ფასების დაწესების შესახებ
14. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 30 დეკემბრის № 1136 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
15. საქართველოს სსრ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

1 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მიერ სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობაზე გადასვლის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ჩვენს ქვეყანაში სასკოლო სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობის შემოღება ბევრად შეუწყობს ხელს საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელების პირობების გაუმჯობესებასა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის შემდგომ სრულყოფას. ეს ღონისძიება გააძლიერებს აგრეთვე სახალხო განათლების ორგანოების, პედაგოგიური კოლექტივების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და გამომცემლობების პასუხისმგებლობას სასწავლო წიგნის იდეურ-თეორიული დონისა და ეფექტიანად გამოყენებისათვის.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებმა, საგამომცემლო-პოლიგრაფიულმა გაერთიანებამ „განათლებამ" მნიშვნელოვანი მუშაობა განახორციელეს ამ დარგში. სკოლები ძირითადად დროულად არიან უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით სასწავლო წლის დაწყებისათვის. სახელმძღვანელოების დაახლოებით 75 პროცენტი დამტკიცებულია როგორც სტაბილური სახელმძღვანელოები. მთელ რიგ დისციპლინებში მთავრდება სასწავლო ლიტერატურის კომპლექტების შემუშავება და გამოცემა.

ამასთანავე სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სასწავლო-მეთოდიკური ლიტერატურის გამოცემის საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ჯერ კიდევ არასაკმარისია სტაბილური სახელმძღვანელოების რაოდენობა. თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესაბამება სახელმძღვანელოების მხატვრული გაფორმებისა და პოლიგრაფიული შესრულების ხარისხი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 24 ნოემბრის № 1029 დადგენილების შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით რესპუბლიკის ყველა სკოლაში სახელმძღვანელოთა საბიბლიოთეკო ფონდების შექმნის მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 24 ნოემბრის № 1029 დადგენილება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მიერ სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობაზე გადასვლის შესახებ" დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო საჯ. ბიბლიოთეკა

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, ცეკავშირის გამგეობას, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად:

— უზრუნველყოს 1978-1983 წლების განმავლობაში სასკოლო სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობაზე ვადასვლა: 1978 წელს — მოსამზადებელი და I კლასების, 1979 წელს — II და III კლასების, 1980 წელს — IV და V კლასების, 1981 წელს — VI და VII კლასების, 1982 წელს — VIII და IX კლასების და 1983 წელს — X კლასების მოსწავლეებისა;

— შეიმუშაოს სახელმძღვანელოთა სასკოლო საბიბლიოთეკო ფონდების შექმნისა და განახლების პერსპექტიული და წლიური გეგმები, აგრეთვე განსაზღვროს თითოეული კლასისა და საგნის მიხედვით სახელმძღვანელოების გამოცემისა და დამატებითი ბეჭდვის ვაღები და ტირაჟები; ამავე დროს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან ერთად გაითვალისწინოს საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოთხოვნილება სასკოლო სახელმძღვანელოებზე;

— უზრუნველყოს საჭირო რაოდენობის სახელმძღვანელოების შემოტანა რუსეთის სფს, სომხეთის სს და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკებიდან, აგრეთვე სახელმძღვანელოების გამოცემა აფხაზურ და ოსურ ენებზე რესპუბლიკის რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, აფხაზურ და ოსურ სკოლებში საბიბლიოთეკო ფონდების შექმნისა და დაკომპლექტების მიზნით.

3. დაწესდეს, რომ სასკოლო სახელმძღვანელოები გამოიცემა, როგორც წესი, 4 წელიწადში ერთხელ, იმ ვარაუდით, რომ სასკოლო ფონდებით სარგებლობაზე კლასის გადასვლის წელს მოსწავლეთა კონტინგენტისათვის გამოიცეს 105 პროცენტი, ფონდების სარგებლობის მეორე და მესამე წელს — 20-20 პროცენტი და სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობის მეოთხე წელს — 15 პროცენტი. სახელმძღვანელოთა საერთო ტირაჟი ფონდირების ციკლში

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ოთხი წელიწადი) არ უნდა აღემატებოდეს 160 პროცენტს მოსწავლეთა კონტინგენტისათვის.

ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით საჭიროების შემთხვევაში დამატებით დაბეჭდოს სახელმძღვანელოები ფონდირების ციკლში ნაკლები პროცენტული შეფარდებით.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად შეიმუშაოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი ყველა მოსწავლის, პიონერისა და კომკავშირელისათვის სასწავლო წიგნისადმი მზრუნველური დამოკიდებულების ჩანერგვის გასაუმჯობესებლად, მოაწყოს შეჯიბრებები, დათვალიერებანი და კონკურსები სახელმძღვანელოთა საუკეთესო მოვლა-დაცვისათვის.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა უზრუნველყონ ორიგინალური სასკოლო სახელმძღვანელოების იდეურ-თეორიული დონის შემდგომი ამაღლება, მათი პოლიტექნიკური მიმართულების გაძლიერება, სახელმძღვანელოთა სტრუქტურის სრულყოფა და მოცულობის შემცირება; მიიღონ ზომები სასწავლო გეგმის ყველა საგანში სახელმძღვანელოების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა:

— განახორციელოს ღონისძიებანი სასკოლო სახელმძღვანელოების ხარისხის, მხატვრული და პოლიგრაფიული შესრულების შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

— სისტემატურად აამაღლოს საგამომცემლო-პოლიგრაფიული გაერთიანება „განათლების“ თანამშრომელთა კვალიფიკაცია, განამტკიცოს იგი სასკოლო განათლებისათვის წაყენებული თანამედროვე მოთხოვნების კარგად მცოდნე სპეციალისტებით;

შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი საგამომცემლო-პოლიგრაფიული გაერთიანება „განათლების“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განმტკიცებისათვის მისი თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვისა და ახალი ტექნოლოგიის დანერგვის გზით;

— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად მიიღოს ზომები 1978-1985 წლების განმავლობაში I-IV კლასების ყველა სახელმძღვანელოს, აგრეთვე უფროსი კლასების ბიოლოგიის, ისტორიის, გეოგრაფიის, ფიზიკისა და ქიმიის სახელმძღვანელოების ფერად ოფსეტურ ბეჭდვაზე გადასასვლელად;

— უზრუნველყოს, მოყოლებული 1979 წლიდან, ნაბეჭდ თვალსაჩინოებათა გამოშვება წელიწადში 2 მილიონამდე ანაბეჭდი ფურცლის ოდენობით;

— გამოიყენოს სახელმძღვანელოთა სასკოლო ფონდების შექმნის შედეგად განთავისუფლებული ქაღალდის რესურსები უპირატესად სასწავლო მეთოდიკური, მხატვრული და საბავშვო ლიტერატურის გამოშვების გაზრდისადებლად.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის განათლების სამინისტროსთან შემდგომი შეთანხმებისათვის წინადადებანი იმის შესახებ, რომ 1978 წლის 1 ივლისიდან რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებში შეიქმნას სასკოლო სახელმძღვანელოთა საბიბლიოთეკო ფონდების განყოფილება და შემოღებულ იქნეს ამ ფონდების ინსპექტორისა და მეთოდისტის თანამდებობა რესპუბლიკისათვის დაწესებული მუშაკთა რიცხოვნობისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შენახვის ხარჯების ფარგლებში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 21 თებერვალი, № 126.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები

2 წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების, სამინისტროებისა და უწყებების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში, „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტის წერილში დასახული ამოცანების შესაბამისად სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის გაძლიერებისა და მისი ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დამტკიცდეს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების თანდართული პირობები.

2. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სამინისტროებს, უწყებებსა და შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებს გადასინჯონ სოციალისტური შეჯიბრების პირობები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილის შესაბამისად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების, წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის, ეკონომიის რეჟიმის გაძლიერებისა და დისციპლინის განმტკიცების მაჩვენებლებს.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
გ. კოლგინი.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზ. პატარიძე.

საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს
თავმჯდომარე
თ. მოსაშვილი.

საქართველოს ალკკ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
ჟ. შარტავა.

ქ. თბილისი, 1978 წ. 7 თებერვალი, № 115

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის 7 თებერვლის № 115 დადგენილებით

პ ი რ ო ბ ე ბ ი

წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისა

„წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 30 დეკემბრის № 1081 დადგენილების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის დადგენილების შესაბამისად საჭიროდ ჩაითვალოს სოციალისტური შეჯიბრების მთელი მაორგანიზებელი და მამობილიზებელი ძალა წარიმართოს ისეთი უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადასაჭრელად, როგორიცაა შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივი ზრდა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ყველა სახეობის პროდუქციის მაღალი ხარისხის მიღწევა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და წარმოების ინტენსიფიკაცია, ეკონომიის რეჟიმის გაძლიერება, დისციპლინის განმტკიცება სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროში.

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან სამინისტროები, უწყებები, ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი, ქალაქები და რაიონები, რომლებიც მოიპოვებენ საუკეთესო შედეგებს შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

სამრეწველო სამინისტროებსა და უწყებებს შორის:

— წარმოების (მთლიანი პროდუქციის) გეგმის შესრულება შემჩვეული გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების გათვალისწინებით;
— მთლიანი პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი;
— პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულება;
— შრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულება და მისი ზრდის ტემპი;
— პროდუქციის მატება შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმ საწარმოთა ხვედრითი წონა, რომელთაც არ შეუსრულებიათ მთლიანი პროდუქციის წარმოების ან რეალიზაციის გეგმა;

— იმ საწარმოთა ხვედრითი წონა, რომელთაც არ შეუსრულებიათ შრომის ნაყოფიერების გეგმა;

— ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წონა გამოშვებული პროდუქციის საერთო მოცულობაში;

— სახელმწიფო ხარისხისნიშნიან ნაკეთობათა რაოდენობა (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით);

— ნომენკლატურის მიხედვით გეგმის შესრულება და მომიჯნავეთა პრეტენზიების არსებობა;

— სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის შემცირება დაწესებულ ნორმებთან შედარებით;

— სამუშაო დროის იმ დანაკარგების შემცირება, რაც მოდის ერთ მუშაზე (გაცდენა, მთელდღიური და ცვლისშიგა მოცდენა, გამოუცხადებლობა ადმინისტრაციის ნებართვით);

— შრომის დაცვის მდგომარეობა (უბედური შემთხვევების რაოდენობა);

— ახალი ტექნიკისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა დანერგვის გეგმის შესრულება;

— ძირითადი საწარმოო ფონდების ამოქმედების გეგმის შესრულება;

— კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობის გეგმის შესრულება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში:

— ძირითად სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის (ჩაი, ყურძენი, ხილი, ციტრუსები, ბოსტნეული, ხორცი, რძე, კვერცხი, მარცვლეული) წარმოების გეგმის შესრულება;

— სახელმწიფოსათვის ძირითად სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის (ჩაი, ყურძენი, ხილი, ციტრუსები, ბოსტნეული, ხორცი, რძე, კვერცხი, მარცვლეული) მიყიდვის გეგმის შესრულება;

— მოგების გეგმის შესრულება;

— 1000 მანეთის ძირითად და საბრუნავ ფონდებზე საერთო პროდუქციის ზრდა;

— შრომის დაცვის მდგომარეობა (უბედური შემთხვევების რაოდენობა);

— ერთ პირობით სულ პირუტყვზე საკვები ერთეულების (საკუთარი წარმოებისა) წარმოების ზრდა;

— მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდა (ერთი ძროხის წველადობა, მოზარდეული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საღღეღამისო წონამატება);

— კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების გეგმის შესრულება;

— ახალი ტექნიკისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა დანერგვის გეგმის შესრულება;

— ეროი მუშის (კოლმეურნის) გამომუშავებული კაცდღეების რაოდენობის ზრდა;

— ძირითადი ფონდების ამოქმედება;

— ზარალიან საწარმოთა ხვედრითი წონის შემცირება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობის დარგში

სამინისტროებსა, ტრესტებსა, სამმართველოებსა და მოძრავ მექანიზებულ კოლონებს შორის:

— საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის შესრულება და მისი ზრდის ტემპი;

— საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების (საავადმყოფოები, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები) საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულება;

— განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტების სიმძლავრეთა ამოქმედების გეგმის შესრულება;

— შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმის შესრულება და მისი ზრდის ტემპი;

— იმ სამშენებლო ორგანიზაციების (სამშენებლო სამმართველოები, მოძრავი მექანიზებული კოლონები და სახლთსაშენებელი კომბინატები) ხვედრითი წონა, რომელთაც არ შეუსრულებიათ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის გეგმა;

— საშენ მასალათა ზენორმატიული და ნორმატიული დანაკარგების შემცირება;

— უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ობიექტების ამოქმედების გეგმის შესრულება;

— სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირება გეგმასთან შედარებით;

— „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასებით საექსპლუატაციოდ გადაცემული სამშენებლო ობიექტების ხვედრითი წონის გადიდება;

— სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლება;

— ბრიგადული სამეურნეო ანგარიშის მეთოდით მომუშავეთა ხვედრითი წონა;

— შრომის დაცვის მდგომარეობა (უბედური შემთხვევების რაოდენობა);

— სამუშაო დროის დანაკარგების (გაცდენა, მთელდღიური და ცვლისშიგა მოცდენა, გამოუცხადებლობა ადმინისტრაციის ნებართვით) შემცირება.

ტრანსპორტის დარგში

სამინისტროებსა და უწყებებს შორის:

— ტვირთბრუნვის გეგმის შესრულება და მისი ზრდის ტემპი;

— მგზავრბრუნვის გეგმის შესრულება და მისი ზრდის ტემპი;

— შემოსავლის საერთო მოცულობის გეგმის შესრულება და მისი ზრდის ტემპი;

— მოძრავი შემადგენლობის ცარიელი გარბენის შემცირება;

— შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი;

— ტვირთბრუნვის თვითღირებულების შემცირება;
— კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობის გეგმის შესრულება;
— სამუშაო დროის დანაკარგების შემცირება;
— შრომის დაცვის მდგომარეობა (უბედური შემთხვევების რაოდენობა);
— მგზავრთა მომსახურების კულტურის ამაღლება (საჩივრების რაოდენობის შემცირება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემაში;

— სატარიფო შემოსავლის გეგმის შესრულება;
— პროდუქციის მოცულობის გეგმის შესრულება;
— შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმის შესრულება;
— კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის გეგმის შესრულება;
— მოგების გეგმის შესრულება;
— სამუშაო დროის დანაკარგების შემცირება;
— შრომის დაცვის მდგომარეობა (უბედური შემთხვევების რაოდენობა);
— მომსახურების კულტურის ამაღლება (საჩივრების რაოდენობის შემცირება).

მომსახურების სფეროს დარგებში

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემაში:

— საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის გეგმის შესრულება და მისი მოცულობის ზრდის ტემპი, მათ შორის ქალაქად და სოფლად;
— მომსახურების კულტურა და ხარისხი (საჩივრების რაოდენობის შემცირება);
— საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ქსელის გაფართოების გეგმის შესრულება;
— მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი სახეობებისა და ფორმების დანერგვა.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემაში:

— წყლის მიწოდების გეგმის შესრულება;
— ჩამდინარი წყლების ჩაშვების გეგმის შესრულება;
— ტროლეიბუსით მგზავრთა გადაყვანის გეგმის შესრულება;
— სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა გეგმის შესრულება;
— სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებში მასალების ხარჯვის შემცირება დაწესებულ ნორმებთან შედარებით;
— საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის გეგმის შესრულება;
— შრომის დაცვის მდგომარეობა (უბედური შემთხვევების რაოდენობა);
— სამუშაო დროის დანაკარგების რაოდენობის შემცირება;
— სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმის შესრულება.

ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის სისტემებში:

— საქონელბრუნვის (საცალო და საბითუმო) გეგმის შესრულება;

— საზოგადოებრივი კვების სისტემაში საკუთარი პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულება;

— მოგების გეგმის შესრულება;

— შრომის დაცვის მდგომარეობა (უბედური შემთხვევების რაოდენობა);

— ვაჭრობის ახალი პროგრესული ფორმებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა დანერგვის გეგმის შესრულება;

— მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლება (საჩივრების რაოდენობის შემცირება).

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სისტემაში:

— სპეციალისტთა გამოშვების გეგმის შესრულება;

— სტუდენტთა განთესვა;

— ორწლიანთა რაოდენობის შემცირება;

— პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლების გეგმის შესრულება;

— სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა უკუგება ყოველ დახარჯულ მანეთზე სახელმწიფო ბიუჯეტისა და სამეურნეო ხელშეკრულების თემატიკის მიხედვით;

— დაპატენტებულ გამოგონებათა და აღმოჩენათა რაოდენობა და მათი ფაქტიური უკუგება.

განათლების სამინისტროს სისტემაში:

— მოსწავლეთა კონტინგენტის მიღების გეგმის შესრულება;

— მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების გეგმის შესრულება, მათ შორის მიზნობრივი კაბინეტების, ლაბორატორიებისა და სხვათა შექმნა;

— მოსწავლეთა განთესვა;

— მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება;

— საშუალო სკოლის პირველ კლასში მიღებულთა საერთო რაოდენობიდან აღნიშნული სკოლის კურსდამთავრებულთა პროცენტი;

— პედაგოგთა შემადგენლობის გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გეგმის შესრულება.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში:

— მოსწავლეთა კონტინგენტის მიღებისა და შენარჩუნების გეგმის შესრულება;

— ახალგაზრდა კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადებისა და სახალხო მეურნეობის დარგებში გაგზავნის გეგმის შესრულება;

— სახალხო მეურნეობის ობიექტებზე (საწარმოო პრაქტიკის გავლის დროს) და საწარმოო სწავლების პროცესში მოსწავლეთა გამომუშავების გეგმის შესრულება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წარმოების გეგმის შესრულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში:

— გეგმის შესრულება წიგნებისა და ბროშურების დასახელების, ტირაჟის, საგამომცემლო ანაბეჭდი ფურცლების, დაბეჭდილი ანაბეჭდი ფურცლების, საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახების გამოშვების მოცულობის მიხედვით;

— სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობის გეგმის შესრულება;

— მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულება;

— შრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულება და მისი ზრდის ტემპი;

— საერთო საქონელბრუნვის გეგმის შესრულება;

— წიგნსაქონლის გაყიდვის გეგმის შესრულება;

— კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის გეგმის შესრულება.

ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ავტონომიურ ოლქსა, ქალაქებსა და რაიონებს შორის:

— პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულება შემხვედრი გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების გათვალისწინებით;

— სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი;

— მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი;

— იმ საწარმოების, სამშენებლო სამმართველოებისა და მოძრავი მექანიზებული კოლონების ხვედრითი წონა, რომლებსაც გეგმა არ შეუსრულებიათ;

— საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო დანიშნულების ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებათა შესრულება;

— კაპიტალურ დაბანდებათა ათვისებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმის შესრულება;

— ნომენკლატურის მიხედვით გეგმის შესრულება, მომიჯნავეთა პრეტენზიების არსებობა;

— საიჯარო სამუშაოთა გეგმის შესრულება;

— სახელმწიფო ხარისხისნიშნიან ნაკეთობათა გამოშვების გადიდება, წარმოების საერთო მოცულობაში მათი ხვედრითი წონის ზრდა (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით);

— მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის გეგმის შესრულება;

— საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულება;

— ტვირთბრუნვის გეგმის შესრულება;

— სახელმწიფოსათვის ძირითად სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის (ჩაი, ყურძენი, ხილი, ბოსტნეული, ხორცი, ციტრუსები, რძე, კვერცხი, მარცვლეული) მიყიდვის გეგმის შესრულება;

— მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდა (ერთი ძროხის წველადობა, მოზარდეული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სადღეღამისო წონამატება);

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბიუჯეტის შემოსავლის გეგმის შესრულება;
— საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობა;
— ბარაკების ლიკვიდაციის გეგმის შესრულება;

შენიშვნა: სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას ცალკე იქნება გათვალისწინებული სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის ბრძოლის მდგომარეობა. იმ საწარმოების, საწარმოო გაერთიანებების, ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით, რომლებმაც დაუსაბუთებლად, მთელი ეკონომიკის საზიანოდ დაუშვეს გეგმების კორექტირება მათი შემცირების მხრივ, სოციალისტური შეჯიბრების შედეგები არ შეჯამდება.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, აგრეთვე სასოფლო რაიონების სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას სოფლის მეურნეობის მაჩვენებლებს უპირველესი მნიშვნელობა აქვს.

— სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისათვის მასალებს მოამზადებენ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო კვარტალის დამთავრების მომდევნო თვის 17-18 რიცხვში და შემდგომ წარუდგენენ სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიას.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების, სამინისტროებისა და უწყებების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეჯამდება ყოველკვარტალურად (წლის დამდეგიდან მზარდი შედეგით), საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის არა უგვიანეს 20 რიცხვისა.

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, მომსახურების სფეროს საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი და სხვა დაწესებულებების სოციალისტურ შეჯიბრებაში წლიური შედეგების მიხედვით გამარჯვებულნი დაჯილდოვდებიან საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით, აგრეთვე დიპლომებითა და ფულადი პრემიებით.

პრემირების ოდენობა და წყაროები დაწესდება „წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1977 წლის 20 სექტემბრის № 646 დადგენილების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 17 თებერვლის № 83 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

„წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 17 თებერვლის № 83 დადგენილების მე-4 და მე-5 პუნქტების შესაცვლელად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების და სახელმწიფო შესყიდვის შემდგომი გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის, რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების დასაჯილდოებლად დაწესდეს 52 გარდამავალი წითელი დროშა და დიპლომები, აქედან:

— აფხაზეთის ასს რესპუბლიკისათვის, აჭარის ასს რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის — 1 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 10-დან 15-ათას მანეთამდე ოდენობით;

— რაიონებისათვის — 10 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 5-დან 10 ათას მანეთამდე ოდენობით; გარდა ამისა, რაიონებისათვის: პირუტყვის მაღალხარისხოვანი საკვების წარმოების გადიდებისათვის — 1 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 5 ათასი მანეთის ოდენობით, სანაწვერალო და შუალედური კულტურების წარმოების გადიდებისათვის — 1 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 5 ათასი მანეთის ოდენობით, კარტოფილის წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის — 1 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 3-დან 5 ათას მანეთამდე ოდენობით, ბოსტნეულის წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის — 1 გარდამავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი დროშა და ფულადი პრემია 3-დან 5 ათას მანეთამდე ოდენობით;

— რაიონებისათვის: მევენახეობაში — 1, მეხილეობაში — 1, მეჩაიეობაში — 1, მეჭარხლეობაში — 1, მეცხოველეობაში — 2 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 5-დან 10 ათას მანეთამდე ოდენობით;

— კოლმეურნეობებისათვის — 17 გარდამავალი წითელი დროშა; საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებისათვის — 6 გარდამავალი წითელი დროშა; გარდა ამისა, პირუტყვის მაღალხარისხოვანი საკვების წარმოების გადიდებისათვის: კოლმეურნეობებისათვის — 2 და საბჭოთა მეურნეობებისათვის — 1; ბოსტნეულის წარმოებისა და გადიდებისათვის: საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის — 2; კარტოფილის წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის: კოლმეურნეობებისათვის — 1 და საბჭოთა მეურნეობებისათვის — 2 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია პრემიების სკალის მიხედვით.

2. დამტკიცდეს მეცხოველეობისა და საკვებწარმოების დარგში რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების თანდართული ახალი პირობები და სამშენებლო-სამონტაჟო, სპეციალიზებულ ორგანიზაციათა და იმ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები, რომლებიც მასალებითა და ნაკეთობებით უზრუნველყოფენ კაპიტალური მშენებლობის ასამოქმედებელ ობიექტებს.

3. ამ დადგენილების მე-2 პუნქტში აღნიშნული სოციალისტური შეჯიბრების ფორმების მიხედვით გამარჯვებულთა სტიმულირებისათვის 1978 წელს:

— საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ გამოყოს საბაზრო ფონდიდან კვარტალობრივი განაწილებით 800 მსუბუქი ავტომანქანა და 600 ავეჯის გარნიტური ასამოქმედებელი ობიექტების ვადამდე საექსპლუატაციოდ გადაცემისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის რიგგარეშე ნაღდ ანგარიშზე მისაყიდად;

— საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოყოს 22 სატვირთო ავტომანქანა და 6 „ბელარუსის“ მარკის ლაფეტიანი ტრაქტორი საკვებწარმოების დარგში სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა წასახალისებლად;

— ცეკავშირის გამგეობამ გამოყოს კვარტალობრივი განაწილებით 500 მსუბუქი ავტომანქანა და 300 ავეჯის გარნიტური მეცხოველეობისა და საკვებწარმოების დარგში სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთათვის რიგგარეშე მისაყიდად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. კოლგინი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**	საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჟ. შარტავა.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 7 თებერვალი, № 116.

მუხ. 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის 7 თებერვლის № 116 დადგენილებით

პ ი რ ო ბ ე ბ ი

მეცხოველეობისა და საკვებწარმოების დარგში რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისა

1. ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით რესპუბლიკის რაიონები გაერთიანებული არიან მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის და საკვები კულტურების წარმოების 7 ზონად № 1 დანართის თანახმად.

2. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან მეურნეობების, კომპლექსების, გაერთიანებების, მეფრინველეობის ფაბრიკების, ბრიგადების კოლექტივები და ცალკეული მოწინავეები, რომლებიც საანგარიშო პერიოდში საუკეთესო შედეგებს მოიპოვებენ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში და უზრუნველყოფენ შემდეგი პირობების დაცვას:

ა) შეასრულებენ მეცხოველეობის პროდუქტების — რძის, ხორცის, კვერცხისა და მატყლის წარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმას და გაზრდიან მათ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით; გააუმჯობესებენ მეცხოველეობის პროდუქტების ხარისხს, აამაღლებენ პირუტყვის ნაკვებობას, რძისა და კვერცხის ხარისხიანობას, მატყლის კლასურობას;

შეასრულებენ გეგმას და გაზრდიან წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახელმწიფოსათვის მიყიდული ერთი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრის საშუალო წონას;

ბ) შეასრულებენ გეგმას და გაზრდიან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, (მათ შორის ძროხის), ღორის, ცხვრისა და თხის, ფრინველის სულადობას;

გ) შეასრულებენ გეგმას და გაზრდიან პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობას, საფურაჟე ძროხის საშუალო წველადობას, დედლის საშუალო კვერცხმდებლობას, მატყლის ნაპარსს წინა წლის შესაბამისი პერიოდის ფაქტიურ დონესთან შედარებით, მაგრამ არანაკლებ ვალდებულებით ნაკისრისა;

დ) შეასრულებენ გეგმას და გაზრდიან წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 100 დედა პირუტყვზე ხბოსა და ზაქის, გოჭისა და ბატკნის ნამატს;

ე) შეამცირებენ პირუტყვის გაწყდომას მეურნეობებსა და გაერთიანებებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის, ფრინველის საერთო სულადობის პროცენტულად და წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით;

ვ) შეასრულებენ გეგმას და გაზრდიან წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სუქებაზე დაყენებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის სულადობას.

აღრიცხვადს მაჩვენებლებს მიეკუთვნება აგრეთვე:

— ფერმებში მექანიზაციის ზრდა საგეგმო დავალებებთან და წინა წლის [illegible] პერიოდთან შედარებით;

26056

საქ. სსრ
სახელმწიფო [illegible]ბლიკ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეცხოველეობის მუშაკთა კვალიფიკაციის (მეცხოველეთა [illegible]-რობა) ამაღლებისა და კადრების შენარჩუნების ღონისძიებანი;

— შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობა მეურნეობებში, კომპლექსებში, გაერთიანებებსა და მეფრინველეობის ფაბრიკებში;

ზ) შეასრულებენ საკვების — თივის, სენაჟის, სხვა უხეში საკვების, სილოსის, საკვები ძირხვენების, ბალახის ფხვნილისა და საკუთარი წარმოების მარცვლეულის, აგრეთვე კომბინირებულ საკვებზე გადასაცვლელად სამეურნეობათაშორისო კომბინირებული საკვების საწარმოებისათვის ჩასაბარებელი მარცვალ-ფურაჟის დამზადების წლიურ გეგმას (მზარდი შედეგით);

თ) სხვა თანაბარი მაჩვენებლების პირობებში სექტემბრამდე გამარჯვებული განისაზღვრება თივის გეგმის შესრულების შესაბამისად, ხოლო ოქტომბერში და შემდგომ — სილოსის გეგმის შესრულების მიხედვით;

ი) უზრუნველყოფენ ბალახის ფხვნილისა და საკვები გრანულების გამომმუშავებელი აგრეგატის მწარმოებლობას.

3. საკუთარი წარმოების საკვების მიღების მაჩვენებელი საკვებ ერთეულებში გადაიყვანება ერთ პირობით სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე გაანგარიშებით 1978 წლის გეგმის მიხედვით, ღორისა და ფრინველის სულადობის ჩაუთვლელად, რომელთა რაციონი ძირითადად ნაყიდი კომბინირებული საკვებისაგან შედგება.

საკვების მაჩვენებლის გადაყვანა საკვებ ერთეულებში ხდება შემდეგი კოეფიციენტების მიხედვით (საკვების ყუათიანობის შესაბამისად): თივა — 0,48; სენაჟი — 0,35; ნამჯა — 0,20; ჩალა — 0,54; მზა სილოსი — 0,19; საკვები ძირხვენები — 0,12; საფურაჟე კარტოფილი — 0,25; ბალახის ფხვნილი — 0,60; საფურაჟე მარცვლეული — 1,15.

საკუთარი წარმოების მიღებული საკვები შეფასდება 10-ბალიანი სისტემით, თივის, სენაჟის, სხვა უხეში საკვების, სილოსის, საკვები ძირხვენების, ბალახის ფხვნილისა და მარცვალფურაჟის დამზადების გეგმის შესრულების პროცენტის თანახმად.

ხარისხისათვის დაემატება 5 ბალი:

თივისა — აქტიური ვენტილაციის მეთოდით კმაშრობის გეგმის შესრულებისათვის;

სილოსისა — კარბამიდით გამდიდრების გეგმის შესრულებისათვის;

სენაჟისა — არა უმეტეს 55-60 პროცენტი ტენიანობისათვის;

ბალახის ფხვნილისა — სახელმწიფოსათვის მიყიდული ფხვნილის კლასურობის მიხედვით.

ხარისხის მაჩვენებლებს თითოეული რაიონისათვის დააწესებს კომისია სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარის შემადგენლობით.

სენაჟის მასის ტენიანობის მონაცემები სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარედგინება ყოველთვიურად, ხოლო დანარჩენი მაჩვენებლები — დამზადების სეზონის დამლევს.

4. სოციალისტური შეჯიბრების ყოველთვიური შედეგების მიხედვით გამარჯვებული რაიონები განისაზღვრება თითოეულ ზონაში ბალობრივი სისტემით, № 2 დანართის თანახმად, რაც გამოქვეყნდება პრესაში.

5. სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი გამოყოფს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების 250 საგზურს მეცხოველეობისა და საკვებწარმოების იმ მოწინავეთა დასაჯილდოებლად, რომლებიც გაიმარჯვებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

6. რაიონს, რომელიც რესპუბლიკაში პირველად შეასრულებს 100 დედა პირუტყვზე ხბოსა და ზაქის, გოჭის, ბატკნისა და თიკნის მიღების გეგმას და გაზრდის ნამატს წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, პრემიის სახით რიგგარეშე მიეყიდება ორი სატვირთო ავტომანქანა (სულ 6 ავტომანქანა).

7. რაიონს, რომელიც რესპუბლიკაში პირველად შეასრულებს სუქებაზე (ღია მოედანზე) დაყენებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის გეგმას და სახელმწიფოს ჩააბარებს არანაკლებ 350 კილოგრამი წონის პირუტყვს, პრემიის სახით რიგგარეშე მიეყიდება სამი სატვირთო ავტომანქანა.

8. რაიონს, რომელიც რესპუბლიკაში პირველად შეასრულებს თივის დამზადების გეგმას, ამასთან აუცილებლად შეასრულებს აქტიური ვენტილაციის მეთოდით მისი კმაშრობის დავალებას, პრემიის სახით რიგგარეშე მიეყიდება ორი სატვირთო ავტომანქანა, ხოლო მეორე და მესამე ადგილებზე გამოსულ რაიონებს — თითო ავტომანქანა.

რაიონს, რომელიც რესპუბლიკაში პირველად შეასრულებს სენაჟის ჩაღების გეგმას დასავლეთ საქართველოში 1978 წლის 1 ივლისამდე და აღმოსავლეთ საქართველოში — 1 აგვისტომდე, პრემიის სახით რიგგარეშე მიეყიდება სამი სატვირთო ავტომანქანა.

რაიონს, რომელიც რესპუბლიკაში პირველად შეასრულებს საკვების დასილოსების გეგმას 1978 წლის 15 ოქტომბრამდე, ამასთან აუცილებლად შეასრულებს კარბამიდის გამოყენების დავალებას, პრემიის სახით რიგგარეშე მიეყიდება სამი სატვირთო ავტომანქანა, ამ მაჩვენებლის მიხედვით მეორე ადგილზე გამოსულ რაიონს — ორი და მესამე ადგილზე გამოსულ რაიონს — ერთი სატვირთო ავტომანქანა.

რაიონი, რომელიც რესპუბლიკაში პირველად, მაგრამ არა უგვიანეს 1978 წლის 1 ოქტომბრისა, შეასრულებს ვიტამინიანი ბალახის ფხვნილის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმას, მათ შორის არანაკლებ 70 პროცენტი პირველი და მეორე კლასისა, პრემიის სახით რიგგარეშე მიეყიდება სამი „ბელარუსის“ მარკის ლაფეტიანი ტრაქტორი, ამ მაჩვენებლის მიხედვით მეორე ადგილზე გამოსულ რაიონს — ორი და მესამე ადგილზე გამოსულ რაიონს — ერთი „ბელარუსის“ მარკის ლაფეტიანი ტრაქტორი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მიკუთვნებისას წლის შედეგების მიხედვით უპირატესობა მიეცემა იმ რაიონს, რომელიც რესპუბლიკაში პირველად შეასრულებს საკვების წარმოების გეგმასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნაკისრ ვალდებულებებს, იმ ვარაუდით, რომ საკვები ერთეული აუცილებლად შეიცავდეს არანაკლებ 100 გრამ მონელებადს პროტეინს.

მასალებს ყოველთვიური შედეგების შესაჯამებლად მოამზადებენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის მთავარი სამმართველო (ამხ. გ. ყუფარაძე), საკვების, მდელოებისა და საძოვრების სამმართველო (ამხ. ვ. სუმბაძე), სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის განყოფილება (ამხ. ა. ქემოკლიძე) და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი (ამხ. ა. იაკობიძე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის 7 თებერვლის № 116 დადგენილებით

პ ი რ ო ბ ე ბ ი

სამშენებლო-სამონტაჟო, სპეციალიზებულ ორგანიზაციათა და იმ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისა, რომლებიც მასალებითა და ნაკეთობებით უზრუნველყოფენ კაპიტალური მშენებლობის ასამოქმედებელ ობიექტებს

1. რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი სამშენებლო-სამონტაჟო, სპეციალიზებულ ორგანიზაციათა და კაპიტალური მშენებლობის ასამოქმედებელი ობიექტების მასალებითა და ნაკეთობებით უზრუნველმყოფ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც საანგარიშო კვარტალში, ნახევარ წელიწადში, ცხრა თვესა და წელიწადში ვადამდე შეასრულებენ ობიექტებისა და ასამოქმედებელი კომპლექსების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმას და უზრუნველყოფენ შემდეგი პირობების დაცვას:

სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების ხაზით:

ა) ვადამდე შეასრულებენ მშენებლობის ასამოქმედებელი ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის 3, 6, 9 და 12 თვის გეგმებს, ამასთან ჩააბარებენ მათ არანაკლებ „კარგი“ შეფასებით;

ბ) გადაჭარბებით შეასრულებენ გამომუშავების გეგმას სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებით დასაქმებულ ერთ მუშაკზე გაანგარიშებით, ამასთან უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების უპირატეს ზრდას ხელფასის ზრდასთან შედარებით;

გ) ყველგან დანერგავენ ბრიგადული იჯარის მეთოდს;

დ) ეკონომიურად დახარჯავენ საშენ მასალებს.

მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის სამმართველოების ხაზით:

გადაჭარბებით შეასრულებენ სამშენებლო მანქანების გამომუშავების დავალებებს ნატურალური გამოხატულებით ძირითადი მაჩვენებლებისა და ნორმების მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს კოლექტივების ხაზით:

ა) ვადამდე შეასრულებენ საექსპლუატაციოდ გადასაცემი ობიექტების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმას თითოეული ობიექტის მიხედვით, ამასთან უზრუნველყოფენ სამუშაოთა კარგ ხარისხს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) გადაჭარბებით შეასრულებენ გამომუშავების გეგმას ერთ მოქმედებაზე გაანგარიშებით;

გ) უზრუნველყოფენ ბრიგადული იჯარის მეთოდით მუშაობას ამ მეთოდზე გადასული გენსაიჯარო ორგანიზაციების ბრიგადებთან ერთად.

ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს ხაზით:

ა) ვადამდე შეასრულებენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა კვარტალურ გეგმებს მზარდი შედეგით;

ბ) გადაჭარბებით შეასრულებენ გამომუშავების გეგმას სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებით დასაქმებულ ერთ მუშაზე გაანგარიშებით;

გ) ეკონომიურად დახარჯავენ საშენ მასალებს.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოების, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოების ხაზით:

ა) ვადამდე შეასრულებენ გათვალისწინებული ნომენკლატურის სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების გეგმას სახელმწიფო სტანდარტის სრული შესაბამისობით;

ბ) ეფექტიანად გამოიყენებენ საწარმოო ფართობებს;

გ) შეასრულებენ შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებებს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპსა და ხელფასის ტემპს შორის სწორი თანაფარდობის დაცვით;

დ) შეასრულებენ ახალი ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის გეგმას.

შემკვეთი ორგანიზაციების ხაზით:

ა) უზრუნველყოფენ საკომპლექტო ტექნიკური დოკუმენტაციის ვადამდე მიწოდებას დაგეგმილი წლის წინა წლის 25 აგვისტოსათვის;

ბ) უზრუნველყოფენ ასამოქმედებელ ობიექტებს მოწყობილობითა და სპეციალური მასალებით ვადამდე, მიწოდების დაწესებულ ვადაზე ერთი კვარტალით ადრე;

გ) უზრუნველყოფენ სამშენებლო ორგანიზაციებს სამუშაოთა ფრონტით (ტერიტორიების ათვისება) სახელშეკრულებო ვადაზე 10 დღით ადრე;

დ) უზრუნველყოფენ მშენებლობას დაფინანსების რეალური წყაროებით.

სატრანსპორტო ორგანიზაციების ხაზით:

ა) გადაჭარბებით შეასრულებენ დავალებებს ყველა დაგეგმილი მაჩვენებლის მიხედვით;

ბ) უზრუნველყოფენ საშენი მასალებისა და ნაკეთობების შეუფერხებელ გადაზიდვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სამშენებლო პროცესში მონაწილე ყველა ორგანიზაცია მოვალეა გაშალოს სოციალისტური შეჯიბრება „სამუშაო ესტაფეტის“ მეთოდით.

3. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი:

ა) წარდგენილი იქნებიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელებით დასაჯილდოებლად და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საპატიო დაფაზე შესატანად;

ბ) წახალისდებიან საცხოვრებელი ფართობით, რომელიც მშენებლებს გამოეყოფათ 10-პროცენტიანი ფონდის ანგარიშში იმ ტრესტებისა და სამმართველოების განკარგულებაში, რომლებიც თავს გამოიჩენენ ობიექტების ვადამდე ჩაბარებით, აგრეთვე რიგგარეშე მიეყიდებათ მსუბუქი ავტომანქანები და ავეჯის გარნიტურები;

გ) მიეცემათ ფულადი პრემია ერთი თვის სარგოს ოდენობით მატერიალური წახალისების ფონდიდან, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საწარმოო დავალების შესრულებისათვის (დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასული მშენებლობებისა და საწარმოებისათვის).

4. მასალებს შეჯიბრების ყოველკვარტალური შედეგების შესაჯამებლად მოამზადებენ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველო, შემკვეთი სამინისტროები და უწყებები, სატრანსპორტო ორგანიზაციები და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი არა უგვიანეს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 20 რიცხვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფესიათა კავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის 7 თებერვლის № 116 დადგენილებით დამტკიცებული მეცხოველეობისა და საკვებწარმოების დარგში სოციალისტური შეჯიბრების პირობების დანართი № 1

ნ უ ს ხ ა

ზონებისა და მათში შემავალი რაიონებისა საქართველოს სსრ ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მიხედვით

I ზონა

რაიონები:

ახმეტის
გარდაბნის
გურჯაანის
ყვარლის
ლაგოდეხის
მარნეულის
საგარეჯოს
სიღნაღის
თელავის
წითელწყაროს

II ზონა

რაიონები:

ბოლნისის
გორის
ზნაურის
ქარელის
კასპის
ლენინგორის
მცხეთის
თეთრი წყაროს
ხაშურის
ცხინვალის

III ზონა

რაიონები:

ალიევნის
ასპინძის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალქალაქის
ახალციხის
ბოგდანოვკის
ბორჯომის
ჯავის
დმანისის
დუშეთის
ყაზბეგის
თიანეთის
წალკის

IV ზონა

რაიონები:

ამბროლაურის
ქედის
ლენტეხის
მესტიის
ონის
ორჯონიკიძის
ხულოს
ცაგერის
შუახევის
ჭიათურის საქალაქო საბჭოს ზონა

V ზონა

რაიონები:

ვანის
ზესტაფონის
მაიაკოვსკი
საჩხერის
თერჯოლის
წულუკიძის
ტყიბულის საქალაქო საბჭოს ზონა
ჩოხატაურის

VI ზონა

რაიონები:

აბაშის
ვეგეჭკორის
ზუგდიდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლანჩხუთის
მახარაძის
სამტრედიის
წალენჯიხის
წყალტუბოს საქალაქო საბჭოს ზონა
ცხაკაიას
ჩხოროწყუს
ხობის

VII ზონა

რაიონები:

გალის
გუდაუთის
გულრიფშის
ქობულეთის
ოჩამჩირის
სოხუმის
ხელვაჩაურის
ვაგრის საქალაქო საბჭოს ზონა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

4 უსაფრთხო შრომისა და წარმოების მაღალი კულტურის საწარმოს წოდების მოსაპოვებლად რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შესახებ

შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების, მუშა-მოსამსახურეთა შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შექმნის, წარმოების კულტურის შემდგომი ამაღლების ღონისძიებათა განხორციელებაში მშრომელთა ფართოდ ჩაბმის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მოეწყოს 1978 წლიდან საქართველოს სსრ საწარმოებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრება უსაფრთხო შრომისა და წარმოების მაღალი კულტურის საწარმოს წოდების მოსაპოვებლად.

შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა დაეკისროთ სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს.

2. დამტკიცდეს თანდართული დებულება უსაფრთხო შრომისა და წარმოების მაღალი კულტურის საწარმოს წოდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

3. დაწესდეს, რომ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს, რომლებიც ამ საპატიო წოდების მიკუთვნების უფლებას მოიპოვებენ, გადაეცემათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დიპლომი და ვიმპელი.

4. რჩევა მიეცეთ სამინისტროთა, უწყებათა და საწარმოო გაერთიანებათა ხელმძღვანელებს შემოიღონ იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების მატერიალური სტიმულირება, რომლებიც უსაფრთხო შრომისა და წარმოების მაღალი კულტურის საწარმოს (ორგანიზაციის) წოდებას მოიპოვებენ.

5. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ უზრუნველყოს დიპლომებისა და ვიმპელების დამზადება შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის მისაცემად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**	საქართველოს პროფკავშირთა რესბუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 24 თებერვალი, № 26.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს 1978 წლის 24 თე-
ბერვლის № 96 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

უსაფრთხო შრომისა და წარმოების მაღალი კულტურის საწარმოს წოდების მოსაპოვებლად საქართველოს სსრ საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

უსაფრთხო შრომისა და წარმოების მაღალი კულტურის საწარმოს წოდების მოსაპოვებლად რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრება მიზნად უნდა ისახავდეს:

— შრომის ნაყოფიერების გადიდებას, საწარმოთა რიტმული მუშაობის უზრუნველყოფას, ტექნოლოგიის სრულყოფას, საწარმოო პროცესთა კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვას, მძიმე ხელის სამუშაოთა ლიკვიდაციას;

— სამუშაო ადგილების ორგანიზაციის გაუმჯობესებას, მოწყობილობისა და საამქროების მოვლა-შენახვას შრომის დაცვის კანონმდებლობისა და სამრეწველო ესთეტიკის მოთხოვნების შესაბამისად;

— შრომის პირობების გაუმჯობესებას, შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების, ხელსაყრელი სანიტარიულ-ჰიგიენური ვითარების შექმნის ხელშემწყობ ღონისძიებათა კომპლექსის შესრულებას, საწარმოო ტრავმატიზმის, პროფესიულ და საერთო დაავადებათა გამომწვევი მიზეზების ლიკვიდაციას;

— მომუშავეთა უზრუნველყოფას სპეცტანსაცმლით, სპეცფეხსაცმლითა და დამცავი სამარჯვებით;

— ახალი საშხაპეების, საგარდერობოების, ქალთა ჰიგიენის ოთახების, დასასვენებელი ოთახებისა და სხვა სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო სადგომების მშენებლობასა და მოწყობას, მოქმედის გაფართოებასა და წესრიგში მოყვანას.

უსაფრთხო შრომისა და წარმოების მაღალი კულტურის საწარმოს წოდებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული თითოეული საწარმო ან ორგანიზაცია კისრულობს სოციალისტურ ვალდებულებებს, რომელთა მიზანია სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი პირობების შესრულება.

სოციალისტური ვალდებულებანი განიხილება და დამტკიცდება მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე.

II. სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი პირობები

უსაფრთხო შრომისა და წარმოების მაღალი კულტურის საწარმოს (ორგანიზაციის) წოდებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული შეიძლება იყოს საწარმო ან ორგანიზაცია, რომელიც შეასრულებს დავალებებს

სოციალისტური შეჯიბრების პირობებით გათვალისწინებული ძირითადი და აღრიცხვადი მაჩვენებლების მიხედვით და დაიცავს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს;

— სამუშაო ადგილების, უბნების, საამქროებისა და მთლიანად საწარმოების (ორგანიზაციების) შესაბამისობა უსაფრთხოების ტექნიკის მოქმედ წესებთან და სანიტარიულ ნორმებთან;

— წარმოების სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობის პასპორტიზაციის ხარისხიანად ჩატარება;

— 1976-1980 წლებისათვის დამტკიცებული შრომის დაცვის პირობებისა და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გაუმჯობესების ხუთწლიანი კომპლექსური გეგმის დავალებათა შესრულება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (წარმოების სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობის პასპორტიზაციის ჩატარების პროცესში დასახულ ღონისძიებათა ჩათვლით);

— შრომის დაცვის ნომენკლატურულ ღონისძიებათა შესრულება;

— შრომის მავნეპირობებიან სამუშაოებზე დასაქმებულ მომუშავეთა რაოდენობის შესრულება;

— შესრულებულ სამუშაოთა საერთო მოცულობაში მექანიზებულ სამუშაოთა ხვედრითი წონის ზრდა წინა წელთან შედარებით;

— მუშა-მოსამსახურეთა სრული (100 პროცენტით) უზრუნველყოფა სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო მოწყობილობებით და მათი სანიმუშო მოვლა-შენახვა;;

— საწარმოო სადგომების საჰაერო გარემოს მდგომარეობა და მისი შესაბამისობა მოქმედ სანიტარიულ ნორმებთან;

— საწარმოო ტრავმატიზმის არარსებობა;

ფეხსაცმლითა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებებით.

— მომუშავეთა უზრუნველყოფა კუთვნილი სპეცტანსაცმლით, სპეცფეხსაცმელთა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებებით.

III. შეჯიბრების შედეგების შეჯამება და გამარჯვებულთა წახალისების ღონისძიებანი

1. უსაფრთხო შრომისა და წარმოების მაღალი კულტურის საწარმოს წოდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების ამსახველი ანგარიშები დანართში მოყვანილი სპეციალური ფორმის მიხედვით გაეგზავნებათ არა უგვიანეს 1 თებერვლისა:

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების ხაზით — პროფკავშირთა რესპუბლიკურ დარგობრივ კომიტეტებს;

— საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების ხაზით, რომელთაც უშუალო პროფესიულ მომსახურებას უწევს საქართველოს პროფსაბჭო, — საქართველოს პროფსაბჭოს;

— საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების ხაზით — საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს და პროფკავშირთა შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების ხაზით — ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს და პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს.

2. საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი, პროფკავშირთა საოლქო საბჭოები და რესპუბლიკური კომიტეტები 20 თებერვლამდე ადგილზე ყოველმხრივი შემოწმების გზით განსაზღვრავენ იმ საწარმოებს, რომლებიც, მათი შეთანხმებული აზრით, შეიძლება ჩაითვალონ უსაფრთხო შრომისა და წარმოების მაღალი კულტურის საწარმოს წოდებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად, და კანდიდატურებს დასაჯილდოებლად წარუდგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს.

3. უსაფრთხო შრომისა და წარმოების მაღალი კულტურის საწარმოს წოდებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების დასაჯილდოებლად დაწესდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დიპლომი და ვიმპელი.

4. რჩევა მიეცეთ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს მოაწყონ საწარმოებსა და ორგანიზაციებში საამქროებისა და უბნების სოციალისტური შეჯიბრება შრომის დაცვისა და წარმოების კულტურის მხრივ მოწინავე საამქროს, უბნის წოდების მოსაპოვებლად, ამასთან გამოყონ სახსრები იმ კოლექტივის პრემირებისათვის, რომელიც აღნიშნულ საპატიო წოდებას მოიპოვებს.

5. რჩევა მიეცეთ სამინისტროთა, უწყებათა და საწარმოო გაერთიანებათა ხელმძღვანელებს შემოიღონ იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების მატერიალური სტიმულირება, რომლებიც უსაფრთხო შრომისა და წარმოების მაღალი კულტურის საწარმოს (ორგანიზაციის) წოდებას მოიპოვებენ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს 1978 წლის 24 ოქტო-
ბერვლის № 96 დადგენილების დანართი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობები

უსაფრთხო შრომისა და წარმოების მაღალი კულტურის საწარმოს წოდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

(საწარმოს, ორგანიზაციის დასახელება)

1978 წლისათვის

ღონისძიებათა დასახელება	ზომის ერთეული	დაგეგმილი იყო	ფაქტიური შესრულება	შენიშვნა
1. სახელმწიფო გეგმის შესრულება:				
— სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა	ათასი მანეთი			
პროდუქციის რეალიზაციისა	ათასი მანეთი			
2. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესებისა და ნორმების იმ დარღვევათა აღმოფხვრისათვის დასახულ ღონისძიებათა რაოდენობა, რაც წარმოების სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობის პასპორტიზაციის მსვლელობაში გამოვლინდა, —სულ				
მათ შორის:				
შესრულდა საანგარიშო პერიოდში	ერთეული			
დასახულია შესრულდეს 1979-1980 წლებში	ერთეული			
3. შრომის პირობების, მისი დაცვის და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გაუმჯობესების ხუთწლიანი კომპლექსური გეგმის შესრულება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.				
—ყველა მავნე საწარმოო უბნიდან განთავისუფლებულ მომუშავეთა რაოდენობა	კაცი			
— მოქმედი ნორმების შეუსაბამო სამუშაოებზე და შრომის პირობებში დასაქმებულ მომუშავეთა რაოდენობა	კაცი			
— სავენტილაციო სისტემები და დანადგარები:	ცალი			
მოეწყო ახალი რეკონსტრუირებულია	ცალი			

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღონისძიებათა დასახელება	ზომის ერთეული	დაგეგმილი ოდენობა	ფაქტიური შესრულება	ნენტარი
3. ახალ სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო მოწყობილობათა მშენებლობა და არსებულის რეკონსტრუქცია:				
საგარდერობო	ადგილი			
საშხაპე	კვ. მ. ბადე			
პირსაბანი	ონკანი			
ქალთა პირადი ჰიგიენის ოთახი	კაბინა			
4. შრომის დაცვის ღონისძიებებისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისება:				
ა) წარმოებაში უბედური შემთხვევების თავიდან აცილების ღონისძიებანი	ათასი მანეთი			
ბ) წარმოებაში დაავადების თავიდან აცილების ღონისძიებანი	ათასი მანეთი			
გ) შრომის პირობების საერთო გაუმჯობესების ღონისძიებანი	ათასი მანეთი			
დ) მექანიზებულ სამუშაოთა მოცულობა შესრულებულ სამუშაოთა საერთო მოცულობასთან შედარებით:				
— ძირითად წარმოებაში	პროცენტი			
— დამხმარე სამუშაოებზე	პროცენტი			
6. სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო სადგომებით უზრუნველყოფა მოქმედი ნორმების თანახმად:				
— გარდერობებით	პროცენტი			
— საშხაპეებით	პროცენტი			
— პირსაბანებით	პროცენტი			
— ქალთა ჰიგიენის ოთახებით	პროცენტი			
7. საწარმოო ტრავმატიზმი:				
— სიხშირის კოეფიციენტი	პროცენტი			

ღონისძიებათა დასახელება	ზომის ერთეული	დაგეგმილი იყო	ფაქტიური შესრულება	შენიშვნა
— სიმძიმის კოეფიციენტი	პროცენტი			
— მძიმე და განსაკუთრებით მძიმე შედეგით დამთავრებული უბედური შემთხვევების რაოდენობა	პროცენტი პროცენტი			
8. მომუშავეთა უზრუნველყოფა სპეცტანსაცმლით, სპეცფეხსაცმლით, ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით	პროცენტი			
9. საწარმოს საწარმოო და დამხმარე ფართობების შესაბამისობა მოქმედ სანიტარიულ ნორმებთან	პროცენტი			

შენიშვნა: ცნობებს თან უნდა დაერთოს დაწვრილებითი ტექსტი, რომელშიც აღწერილი იქნება საანგარიშო პერიოდში უსაფრთხო შრომისა და წარმოების მაღალი კულტურის საწარმოს წოდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში შრომის პირობების გასაუმჯობესებლად განხორციელებული ძირითადი ღონისძიებანი.

დირექტორი:

პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო (ადგილობრივი) კომიტეტის თავმჯდომარე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

5 საქართველოს სსრ ქალაქებში საცხოვრებელი სახლების გარეგნული სახის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

საცხოვრებელი სახლების გარეგნული სახის, საექსპლუატაციო და არქიტექტურული თვისებების გაუმჯობესების, მობინადრეთა მიერ ლოჯიებისა და აივნების თვითნებური მშენებლობის, შემინვისა და გადაკეთების ფაქტების აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, მოყოლებული 1978 წლის მეორე კვარტალიდან, განახორციელოს მშენებლობის პროცესში ძირითადი დამხმარე საზაფხულო სადგომების (ლოჯიების) ტრანფორმირებადი შემინვის მოწყობა ტიპობრივ საცხოვრებელ სახლებსა და განმეორებით გამოყენებული პროექტების მიხედვით მშენებარე სახლებში ამ საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯზე, მათი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გაუდიდებლად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს 1978 წლის 1 თებერვლამდე შეიმუშაოს ტიპობრივი საცხოვრებელი სახლების მოქმედი სერიების ლოჯიების შემინვის ერთიანი პროექტები.

3. წინათ აშენებულ საცხოვრებელ სახლებში დამხმარე საზაფხულო სადგომების (ლოჯიების) შემინვა მოხდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 12 სექტემბრის № 1102 განკარგულების შესაბამისად.

4. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ბათუმისა და სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა გაითვალისწინონ 1978 წლის გეგმაში საცხოვრებელი სახლების ფასადების კაპიტალური რემონტი და განახლება 1 მილიონი მანეთის ოდენობით ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე, რისთვისაც:

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გამოყოს 1978 წელს აღნიშნული ქალაქებისათვის 1 მილიონი მანეთის სარემონტო სამუშაოთა შესასრულებლად ხელფასის ფონდი;

— საქართველოს სსრ მთავარმომარაგებამ გაითვალისწინოს 1 მილიონი მანეთის სარემონტო სამუშაოთა დამატებითი მოცულობისათვის მატერიალური რესურსები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეზერვიდან.

5. საცხოვრებელი სახლების გარეგნული სახის გაუმჯობესების მიზნით მათი ფასადების რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტისათვის დაევალოთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ბათუმის, სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებს და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს — საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღებიდან ორი კვირის ვადაში გააფორმონ კაპიტალური რემონტის პირდაპირი ხელშეკრულებით სამუშაოთა მოცულობის, შრომის ლიმიტებისა და საშენი მასალების გადაცემა და მიღება დადგენილი წესით;

— საქართველოს სსრ სახმშენს — საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავების შემდეგ დაამტკიცოს 1978 წლისათვის აღნიშნული აღმასკომების ხაზით საცხოვრებელი სახლების ფასადების განახლების ან რეკონსტრუქციის სამუშაოთა შესასრულებელი მოცულობა.

6. თბილისის, სოხუმის, ბათუმის, რუსთავისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ 1978 წლის 1 აპრილამდე საცხოვრებელი სახლების ფასადების განახლების ან რეკონსტრუქციის პროექტების შემუშავება და გადაცემა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსათვის.

7. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ 1978 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყოს რესპუბლიკის ზემოაღნიშნულ ქალაქებში საცხოვრებელი სახლების ფასადების განახლების სამუშაოთა შესრულება 1 მილიონი მანეთის ოდენობით.

8. დაწესდეს, რომ საცხოვრებელი სახლების ფასადების განახლების ან რეკონსტრუქციის სამუშაოები ხორციელდება იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც ყოველწლიურად დამატებით გამოეყოფათ აღნიშნული ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს კაპიტალური რემონტისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 16 იანვარი, № 22.

6 საქართველოს სს რესპუბლიკაში სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის შეთანხმებისა და გაცემის წესის შესახებ

„სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის შეთანხმებისა და გაცემის წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 10 ივნისის № 500 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ, როგორც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დააწესა 1977 წლის 10 ივნისის № 500 დადგენილებით, სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვას გასცემს სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, თუ სპეციალური წყალსარგებლობა ხორციელდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყლის ობიექტებზე, რომლებითაც სარგებლობის რეგულირება სსრ კავშირის კომპეტენციას განეკუთვნება.

2. დაწესდეს, რომ იმ წყლის ობიექტებზე სპეციალური წყალსარგებლობის განხორციელებისას, რომლებითაც სარგებლობის რეგულირება სსრ კავშირის კომპეტენციას არ განეკუთვნება, თუ აღნიშნული წყლის ობიექტები გამოიყენება ცენტრალიზებული წყალმომარაგების წყაროდ, მიეკუთვნება სანაოსნო ან ხე-ტყის დასაცურებელი გზების კატეგორიას ან გამოიყენება მიწისქვეშა წყლების მოსაპოვებლად წყლის დონის იძულებითი დაწევით ანდა ჩამდინარე წყლების ჩასაშვებად, სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვას გასცემენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი და მისი ადგილობრივი ორგანოები.

დანარჩენ შემთხვევებში სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვას გასცემენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები იმ წესით, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი წყალმოსარგებლეთა მიერ შემდეგი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ:

— მიმართვა-თხოვნა წყალსარგებლობის ნებართვის გაცემის შესახებ;

— წყალსარგებლობის სახეობის მოკლე ღახასიათება სარგებლობისათვის სავარაუდო წყლის რაოდენობის ან ჩასაშვებად სავარაუდო ჩამდინარი წყლის შედგენილობის, მისი გაწმენდის მეთოდის, წყლის ჩაშვების ან აღების ადგილის ჩვენებით;

— სიტუაციური გეგმა, მახლობელი დასახლებული პუნქტის ზემოთ 1 კილომეტრ მანძილზე წყალსატევის წყლებთან გაწმენდილი ჩამდინარი წყლების შერჩევის გაანგარიშება (ჩამდინარი წყლების ჩაშვების შემთხვევაში) და ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის ორგანოების ცნობა აღნიშნულ ადგილას დაბალ დონეზე წყალსატევის წყლების მინიმალური ხარჯვის შესახებ.

3. სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვა გაიცემა მას შემდეგ, რაც ამ წყალსარგებლობის პირობებს წყალმოსარგებლეები შეუთანხმებენ:

— საქართველოს სსრ სანიტარიული ზედამხედველობის სამმართველოსა და მის ადგილობრივ ორგანოებს;

— საქართველოს შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს — თევზსამეურნეო წყალსატევებით სარგებლობის ნებართვის გაცემისას;

— საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოს — მიწისქვეშა წყლებით სარგებლობისათვის. აგრეთვე მიწისქვეშა წყლოვან ჰორიზონტებში ჩამდინარი წყლების ჩაშვებისათვის ნებართვის გაცემისას, თუ აღნიშნული ჩაშვება დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობით;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტს — ჰიდრომინერალური რესურსებით სარგებლობის ნებართვის გაცემისას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგეტერინარო სამსახურის სამმართველოს — მეცხოველეობის, მეთევზეობის საჭიროებისათვის და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადასამუშავებელ-შესანახი საწარმოებისათვის წყლის აღების ნებართვის გაცემისას.

4. წყლის ობიექტებზე, რომლებიც განკერძოებული სარგებლობისათვის მიცემული აქვთ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს — პირველადს წყალმოსარგებლეებს, სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვა გაიცემა ამ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან შეთანხმებით. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ წყლის კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში აღნიშნულ წყლის ობიექტებზე სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვას გასცემენ პირველადი წყალმოსარგებლეები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

5. დაწესდეს, რომ წყალსარგებლობის პირობების შეთანხმების, აგრეთვე წყალსარგებლობის ნებართვის გაცემის საკითხი ამ დადგენილების მე-3 პუნქტში აღნიშნულმა საამისოდ უფლებამოსილმა თითოეულმა ორგანომ უნდა განიხილოს ორი კვირის ვადაში.

6. უთანხმოებას წყალმოსარგებლეებსა და ამ დადგენილების მე-3 პუნქტში აღნიშნულ სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოებს შორის, რაც წარმოიშობა სპეციალური წყალსარგებლობის პირობების შეთანხმებისას, რომლის ნებართვასაც გასცემენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ორგანოები, განიხილავენ სამინისტროები და უწყებები, რომელთაც ექვემდებარებიან აღნიშნული წყალმოსარგებლეები, და სახელმწიფო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოები. სამინისტროთა, უწყებათა და სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოთა შორის უთანხმოების შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი.

უთანხმოებას წყალმოსარგებლეებსა და სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოებს შორის, რაც წარმოიშობა სპეციალური წყალსარგებლობის პირობების შეთანხმებისას, რომლის ნებართვასაც გასცემენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, აგრეთვე განიხილავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი იმ სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა, რომელთაც ექვემდებარება წყალმოსარგებლე, სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოებისა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ახლად მშენებარე (გასაფართოებელი, სარეკონსტრუქციო) საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტებისათვის სპეციალური წყალსარგებლობის პირობების შეთანხმებისას უთანხმოება განიხილება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 18 სექტემბრის № 811 დადგენილებით.

7. ახლად მშენებარე საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტებისათვის სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვა პროექტების შემკვეთებს მიეცემათ ობიექტების მშენებლობის ადგილის განსაზღვრისას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ობიექტის დაპროექტების პროცესში წარმოიშობა გაცემულ-თვაში აღნიშნული პირობებისა და გადახვევის საჭიროება, პროექტის შემკვეთმა უნდა მიიღოს ახალი ნებართვა სპეციალური წყალსარგებლობისათვის.

8. საპროექტო-საძიებო სამუშაოები (სახალხო მეურნეობის დარგთა განვითარებისა და განლაგების სქემების და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებების შედგენასთან დაკავშირებულ სამუშაოთა გარდა), აგრეთვე წყლების მდგომარეობაზე ზეგავლენის მომხდენი საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობა ან მათი რეკონსტრუქცია, რაც დაკავშირებულია წყლის მოხმარების, ჩამდინარი წყლების ჩაშვების გადიდებასთან ან მათი ხარისხობრივი შედგენილობის გაუარესებასთან, დაფინანსდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვა გაცემულია ამ დადგენილების 1-ლ და მე-2 პუნქტებში აღნიშნული ორგანოების მიერ.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის გაცემისას იხელმძღვანელონ სპეციალური წყალსარგებლობის სახეობათა ნუსხით, რომელიც სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ დაამტკიცა 1977 წლის 10 აგვისტოს (ნუსხა თან ერთვის).

10. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 10 ივნისის № 500 დადგენილებით სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს დაევალა შეიმუშაოს და დაამტკიცოს ინსტრუქცია სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის შეთანხმებასთან და გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აგრეთვე სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის ერთიანი ფორმა.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა შეიმუშაონ სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეციალური წყალსარგებლობის განმხორციელებელ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა, აგრეთვე საზოგადოებრივ და კოოპერაციულ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა მიერ ამ წყალსარგებლობის ნებართვის მიღებას 1978-1981 წლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 18 იანვარი, № 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑ
სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილე
Ი. Ი. ᲑᲝᲠᲝᲜᲓᲐᲩᲔᲜᲙᲝ
1977 წლის 10 აგვისტო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 18 იანვრის № 31 დადგენილების დანართი

ᲜᲣᲡᲮᲐ

სპეციალური წყალსარგებლობის სახეობებისა

შემუშავებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-14 მუხლისა და „სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის შეთანხმებისა და გაცემის წესის შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 10 ივნისის № 500 დადგენილების მე-7 პუნქტის საფუძველზე

1. სპეციალურ წყალსარგებლობას განეკუთვნება წყლის ობიექტებით ან მათი ნაწილით (ზედაპირული და მიწისქვეშა წყლებით) სარგებლობა მოსახლეობის სასმელ და საყოფაცხოვრებო საჭიროებათა, წყალზე სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ენერგეტიკის, წყლის ტრანსპორტის, ხე-ტყის დაცურების მოთხოვნილებათა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სადრენაჟო და სხვა ჩამდინარი წყლების ჩასაშვებად, თუ წყალსარგებლობის აღნიშნული სახეობანი ხორციელდება შემდეგ ნაგებობათა ან ტექნიკურ მოწყობილობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციის საშუალებით:

ა) ზედაპირული და ზღვის წყლებიდან წყლის მექანიკურად და თვითდინებით ასაღები სტაციონარული, მოძრავი და მცურავი ნაგებობანი;

ბ) მიწისქვეშა წყლების ასაღებად სატუმბი დანადგარებით აღჭურვილი წყალასაღები ნაგებობანი;

გ) ამოთხრილი შახტის ჭები, ჩასასობი საფილტრავი ჭები, წყაროების კაპტაჟები და მიწისქვეშა წყლების გამოსაყენებელი სხვა მცირე ნაგებობანი, რომლებიც წყლის დონის იძულებითი დაწევის გარეშე მუშაობენ;

დ) ზედაპირულ და ზღვის წყლებში სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, საკოლექტორო-სადრენაჟო, ნიაღვრისა და სხვა ჩამდინარი წყლების, აგრეთვე შახტებიდან, კარიერებიდან, ჭრილებიდან ამოტუმბული წყლების ჩასაშვებად გათვალისწინებული წყალსარინი ნაგებობანი;

ე) შთანმთქმელი ჭაბურღილები და ჭები მიწისქვეშა წყლოვან ჰორიზონტებში ჩამდინარი წყლების ჩასაშვებად;

ვ) სამიწათმოქმედო მორწყვის მინდვრებზე ჩამდინარი წყლების სარინი ნაგებობანი;

ზ) კაშხალები და სხვა წყალსატბორი და წყალსარეგულირებელი ნაგებობანი (მათ შორის დროებითი გადამღობი ნაგებობანი);

თ) ჰიდრავლიკური ელექტროსადგურები (კაშხლისპირა, სადერივაციო, მოქცევის, ჰიდრომააკუმულირებელი);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) თბოელექტროსადგურებისა და ატომური ელექტროსადგურების ორმაგი სამეურნეო ნაგებობანი, რომლებიც გათვალისწინებულია წყალმომარაგებისათვის, ნამუშევარი წყლების ჩასაშვებად, აგრეთვე წყლის გასაცივებლად;

კ) სარწყავი, გამაწყლოვანებელი, სარწყავ-გამაწყლოვანებელი და დამშრობი სისტემები;

ლ) გემსატარი და ხეტყისსატარი ნაგებობანი, რომლებიც უზრუნველყოფენ გემებისა და ტივების გავლას წყალსატბორ ნაგებობებში;

სპეციალურ წყალსარგებლობას, რომელიც ნაგებობათა და ტექნიკურ მოწყობილობათა გამოუყენებლად ხორციელდება, მიეკუთვნება ხე-ტყის დაშლილად დაცურება, აგრეთვე მერქნის დაცურება კონებად გემის წევის გარეშე.

2. ამ ნუსხით გათვალისწინებული სპეციალური წყალსარგებლობა ხორციელდება ნებართვის საფუძველზე, რომელსაც გასცემენ:

ა) სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების მთავარი სამმართველო და წყლის წყაროების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია, აგრეთვე სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან არსებული კასპიის ზღვის წყლის ზედამხედველობის სამმართველო (მისი მოქმედების ზონაში), თუ სპეციალური წყალსარგებლობა ხორციელდება წყლის ობიექტებზე, რომლებითაც სარგებლობის რეგულირება სსრ კავშირის კომპეტენციას განეკუთვნება;

ბ) რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ყაზახეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, უზბეკეთის სსრ, ლიტვის სსრ, მოლდავეთის სსრ, ლატვიის სსრ, ყირგიზეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, თურქმენეთის სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროები, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების ზემოაღნიშნული სამინისტროებისა და უწყებების მიერ დადგენილ შემთხვევებში — აგრეთვე სააუზო (ტერიტორიული) სამმართველოები და ინსპექციები;

იმ წყლის ობიექტებზე სპეციალური წყალსარგებლობის განხორციელებისას, რომლებითაც სარგებლობის რეგულირება სსრ კავშირის კომპეტენციას არ განეკუთვნება, თუ აღნიშნული წყლის ობიექტები გამოიყენება ცენტრალიზებული წყალმომარაგების წყაროდ, მიეკუთვნება სანაოსნო ან ხე-ტყის დასაცურებელი საწყლოსნო გზების კატეგორიას, ან გამოიყენება მიწისქვეშა წყლების მოსაპოვებლად წყლის დონის იძულებითი დაწევით ანდა ზედაპირული და მიწისქვეშა წყლებში ჩამდინარი წყლების ჩასაშვებად;

გ) ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები;

— სპეციალური წყალსარგებლობის განხორციელებისას (ჩამდინარი წყლების ჩაშვების შემთხვევების გარდა) რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე მდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარე ჩაკეტილ (გაუდინარ) წყალსატევებში, ნაკადულებზე, მშრალხევებსა და მცირე მდინარეებზე, რომლებიც მოსახლეობის, საძრეწველო ობიექტებისა და სარწყავი სისტემების ცენტრალიზებული წყალმომარაგების წყაროებს არ წარმოადგენენ და სანაოსნო ან ხე-ტყის დასაცურებელი საწყლოსნო გზების კატეგორიას არ განეკუთვნებიან;

— ამოთხრილი შახტის ჭების, ჩასასობი საფილტრავი ჭების, წყაროების კაპტაჟებისა და წყლის დონის იძულებითი დაწევის გარეშე მომუშავე სხვა მცირე ნაგებობების მოწყობით მიწისქვეშა წყლების გამოყენებისას.

3. სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის შეთანხმებისა და გაცემის წესი განისაზღვრება ინსტრუქციით, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებით.

წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების
მთავარი სამმართველოს უფროსი **მ. ი. ალიშევი**

წყლის წყაროების დაცვის სახელმწიფო
ინსპექციის უფროსი **პ. ნ. შტერნოვი**

7 რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმების შემუშავებისა და გამოყენების სისწორის შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში მატერიალური რესურსების გამოყენების საქმეში ჯერ კიდევ არის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები, რომლებსაც სერიოზული ყურადღება დაეთმო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმზე.

ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ენერგიის არარაციონალური გამოყენების გამო რესპუბლიკის საწარმოებში არის ფარული დანაკარგები. ჯეროვნად არ აღრიცხება ლითონის, სათბობის, ენერგიის, საშენი და სხვა მასალების გამოყენება.

მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობაში მატერიალური რესურსების ხარჯვამ 1976 წელს შეადგინა 3.211 მილიონი მანეთი, ანუ წარმოების საერთო დანახარჯების 86 პროცენტი.

ყველგან როდი იყენებენ თვითღირებულების შემცირებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ისეთ დიდმნიშვნელოვან რეზერვებს, როგორიცაა ნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეულის რესურსების კომპლექსური გამოყენება, საწარმოო ნარჩენებისაგან დანაკარგების ლიკვიდაცია.

1976 წელს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ მინისტროთა და უწყებათა მრეწველობაში ამ ნარჩენების ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 29 მილიონი მანეთი, ხოლო წარმოების ხარჯებში ჩამოწერილმა მათმა დანაკარგებმა — 17 მილიონ მანეთზე მეტი.

განსაკუთრებით დიდია ნარჩენებისაგან დანაკარგები საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის (16,1 მილიონი მანეთი), საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს (1 მილიონ მანეთზე მეტი) და სხვა სამინისტროთა და უწყებათა საწარმოებში.

დიდია დანაკარგები აგრეთვე საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემაში. ამ დარგში შექმნილი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ პროექტებით გათვალისწინებულია ცემენტისა და ლითონის ხარჯვის გადიდებული ნორმები. მაგალითად, ცემენტის გადახარჯვა ყოველი მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე მარტო საბინაო მშენებლობაში 180 ტონას აღწევს.

უყაირათობით გამოწვეული პირდაპირი დანაკარგების გარდა ბევრ საწარმოში დაშვებულია მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გადახარჯვა აღრიცხვის სუსტი ორგანიზაციის, მათი ხარჯვისადმი კონტროლის გაუწევლობის, აგრეთვე არსებული ნორმების არასწორად გამოყენების გამო. ნედლეულისა და მასალების გადახარჯვა ძლიერ მოქმედებს პროდუქციის თვითღირებულებაზე და აუარესებს საწარმოთა საქმიანობის საფინანსო-ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის დადგენილების შესაბამისად და მატერიალური რესურსების ხარჯვის მოწესრიგებისა და ამ საქმეში სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმების შემუშავებისა და გამოყენების სისწორის შემსწავლელი კომისია, თანდართული სიის თანახმად, და დაევალოს მას შეისწავლოს მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმების შემუშავებისა და გამოყენების სისწორე და წარუდგინოს შემოწმების მასალები შესაბამისი წინადადებებითურთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საეგმო კომიტეტს (ამხ. ვ. ა. ჩოფიკაშვილი) 1978 წლის 1 აპრილისათვის.

2. კომისიაში მრეწველობის დარგების მიხედვით შექმნილი ჯგუფების ხელმძღვანელებმა საჭიროების შემთხვევაში მიიზიდონ კომისიის მუშაობაში მონაწილეობისათვის სპეციალისტები შესაბამის სამინისტროებთან, უწყებებთან, საწარმოებთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან და სხვა ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ მთავარმომარაგებისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს მონაწილეობით განაზოგადოს კომისიის მიერ წარდგენილი მასალები შესაბამისი წინადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებებითურთ და წარმოუდგინოს ისინი განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 15 აპრილისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 31 იანვარი, № 54

8 საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის მთავარი რედაქციის შემადგენლობაში ამხ. ა. დ. ჩიკვაიძის შეყვანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოცემის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 25 ივლისის № 427 დადგენილებით გათვალისწინებული საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის მთავარი რედაქციის შემადგენლობაში შეყვანილ იქნეს ამხ. ა. დ. ჩიკვაიძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 3 ოებერვალი, № 63

9 საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა პრემიების წესის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებული:

— თანდართული დებულება საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა პრემირების წესის შესახებ;

— საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა პრემირების დამატებითი მაჩვენებლები, № 1 დანართის თანახმად;

— საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირებისათვის მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდიდან ანარიცხების ნორმატივები, აგრეთვე საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს აპარატის ხელმძღვანელი შემადგენლობის პრემიების ოდენობა, № 2 დანართის თანახმად.

2. დაწესდეს, რომ 1977 წლის 1 აპრილიდან საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის შენახვა ხორციელდება საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების ანარიცხების ხარჯზე.

3. იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ გაადიდა საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის შენახვის ზღვრული ასიგნებანი, დამტკიცდეს აღნიშნული აპარატის სტრუქტურა და რიცხოვნობა 76 ერთეულით და საშუალო თანამდებობრივი სარგოების მიხედვით გამოანგარიშებული ხელფასის ფონდი თვეში 11.005 მანეთის ოდენობით, № 3 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 3 თებერვალი, № 64

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 3 თებერვლის № 64
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა პრემირების წესის შესახებ

1. ეს დებულება შემუშავებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ 1974 წლის 13 მარტს დამტკიცებული საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა მმართველობის მუშაკთა პრემირების წესის ტიპობრივი დებულების საფუძველზე.

2. დებულება შემოღებულია იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა მატერიალური დაინტერესება წარმოების შემდგომი განვითარებითა და სრულყოფით, შესაბამის სახეობათა პროდუქციაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილებით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებითა და მისი თვითღირებულების შემცირებით, შრომის ნაყოფიერების ზრდით, ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფით, მატერიალური, შრომითი და ფინანსური დანახარჯების ეკონომიით.

3. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს პრემიები მიეცემათ პროდუქციის რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მოგების კვარტალური გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ახალი ტექნიკის შექმნის, ათვისებისა და დანერგვის სახელმწიფო გეგმის, სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი რეალიზებული პროდუქციის ხვედრითი წონის, აგრეთვე ავეჯისა და პარკეტის წარმოების დავალებათა შესრულებისათვის.

რომელიმე ამ მაჩვენებლის მიხედვით დავალების შეუსრულებლობისას პრემია არ გაიცემა.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია გადაწყვიტოს საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების საკითხი საანგარიშო პერიოდში ავეჯის ან პარკეტის წარმოების გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევებში, თუ ეს პროდუქცია დამზადდა და რეალიზებულია წინა პერიოდში ან მისი ცალკეული სახეობების წარმოება შეწყდა მომხმარებელთა (შემკვეთთა) მოთხოვნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ამ დებულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პრემირების მაჩვენებლებთან ერთად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით დააწესებს ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის ამოცანათა და თავისებურებათა გათვალისწინებით პრემირების დამატებითს მაჩვენებლებს ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკებისათვის (მინისტრი და მისი მოადგილეები).

სამინისტროს ცენტრალური აპარატის დანარჩენი მუშაკებისათვის პრემირების დამატებითი მაჩვენებლები დაწესდება მინისტრის ბრძანებით საქართველოს ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით.

6. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირებისას მხედველობაში მიიღება პროდუქციის მიწოდების ვალდებულებათა შესრულება დადებული ხელშეკრულებების (შესასრულებლად მიღებული განრიგების) და საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციათა შეკვეთა-განრიგების შესაბამისად გათვალისწინებული ოდენობით, ვადებში და ნომენკლატურით (ასორტიმენტით).

დამატებითი მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა და პროდუქციის მიწოდების ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს პრემიები შეუმცირდებათ ამ მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა შესრულების დონის შესაბამისად: მინისტრსა და მის მოადგილეებს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ, ხოლო დანარჩენ მუშაკებს — მინისტრის მიერ.

7. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირება ხორციელდება სამინისტროს მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდიდან, რომელიც იქმნება მატერიალური წახალისების საერთო ფონდის ფარგლებში. აღნიშნულ მუშაკთა პრემირებისათვის მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდიდან გამოსაყოფი სახსრების ოდენობა განისაზღვრება იმ ნორმატივების მიხედვით, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროსთან და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით.

8. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების ოდენობა, რაც გათვალისწინებულია ამ დებულებით, ყოველწლიურად დაწესდება მოცემულ წელს აღნიშნულ მუშაკთა პრემირებისათვის გამოყოფილი სახსრების ფარგლებში.

ამასთან სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკებისათვის (მინისტრი და მისი მოადგილეები) პრემიის ოდენობას დააწესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინის-

ტროსთან და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით, ხოლო დანარჩენი მუშაკებისათვის — მინისტრი საქართველოს ... ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით. ხელმძღვანელ მუშაკთა პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემიის საშუალო ოდენობას (მათი თანამდებობრივი სარგოების პროცენტულად).

სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთათვის პრემიის ოდენობის დაწესებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამინისტროს ხაზით საგეგმო მაჩვენებლების დაძაბულობა, შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის ხარისხი, საწარმოო სიმძლავრეების, ნედლეულის, მასალების, სათბობის, ენერგიის გამოყენების დონე.

9. გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის დარიცხული პრემიის თანხები არ უნდა აღემატებოდეს მატერიალური წახალისების დარიცხული ფონდის საერთო ოდენობას. ამ ფონდის უკმარისობის შემთხვევაში სამინისტროს ცენტრალური აპარატის ყველა მუშაკს პრემია შეუმცირდება პრემირების არსებული წყაროების პროპორციულად.

10. კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით მინისტრისა და მისი მოადგილეებისათვის დარიცხული პრემია შემცირდება ყოველი იმ საქვეუწყებო გაერთიანებისა და საწარმოს პრემიის თანხის 1 პროცენტით, რომელსაც არ შეუსრულებია ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით მისთვის დაწესებული გეგმა (სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობა, შრომის ნაყოფიერების ზრდა, მოგება, ახალი ტექნიკის შექმნის, ათვისებისა და დანერგვის სახელმწიფო გეგმის შესრულება, ხარისხისნიშნიანი რეალიზებული პროდუქციის ხვედრითი წონის დავალება, აგრეთვე ავეჯისა და პარკეტის წარმოების გეგმები).

ასეთივე წესით მინისტრს შეუძლია შეუმციროს პრემიები სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან იმისათვის, რომ საწარმოებმა შეასრულონ გეგმები მათთვის დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით.

11. თუ საშუალო ხელფასის ზრდა უსწრებს მთლიანად დარგში შრომის ნაყოფიერების ზრდას, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთათვის სარგოების პროცენტულად დარიცხული პრემიების თანხა შემცირდება 1 პროცენტით შრომის ნაყოფიერების ზრდასთან შედარებით საშუალო ხელფასის ზრდის ყოველ პროცენტში.

12. მთლიანად სამინისტროს ხაზით ხელფასის ფონდის გადახარჯვისას სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებს, აგრეთვე განყოფილებათა ხელმძღვანელებსა და ხელფასის ფონდის ხარჯვისათვის პასუხისმგებელ მუშაკებს დარიცხული პრემიები არ მიეცემათ.

ამასთან სამინისტროს ხაზით ხელფასის ფონდის გადახარჯვა გამოიანგარიშება, როგორც საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში ამ ფონდის შედარებითი გადახარჯვის თანხა.

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ხელფასის ფონდის დაშვებული გადახარჯვა სამინისტროს ხაზით ანაზღაურდება 6 თვემდე ვადაში, აღნიშნულ მუშაკებს მიეცემათ დარიცხული, მაგრამ ხელფასის ფონდის გადახარჯვასთან დაკავშირებით გაუცემელი პრემიის 50 პროცენტი.

იმ შემთხვევაში, თუ მთლიანად სამინისტროს წლის დამდეგიდან გასულ საანგარიშო პერიოდში აქვს საკმარისი ეკონომია ხელფასის ფონდის დაშვებული გადახარჯვის დასაფარავად, დარიცხული პრემიები გაიცემა სრული ოდენობით.

13. მუშაკთა პრემირება ხდება ყოველ კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით ამ პერიოდში გასაცემად დარიცხული პრემიის 75 პროცენტის ოდენობით. პრემიის დანარჩენი 25 პროცენტი გაიცემა სრული ოდენობით სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით იმ პირობით, თუ მთლიანად წლის განმავლობაში შესრულდება ამ დებულების შესაბამისად დაწესებული პრემირების მაჩვენებლების დავალებანი.

14. მინისტრს პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით შეუძლია გაადიდოს ან შეამციროს მუშაობის ხარისხისა და მუშაკის პირადი წვლილის გათვალისწინებით მისთვის დარიცხული პრემია, მაგრამ არა უმეტეს 25 პროცენტისა.

მუშაობაში სერიოზული ხარვეზებისათვის მუშაკს შეიძლება პრემია მთლიანად ჩამოერთვას.

სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებს (მინისტრსა და მის მოადგილეებს) პრემიას გაუდიდებს (შეუმცირებს) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

15. ამ დებულების შესაბამისად ერთი მუშაკისათვის მიცემული პრემიის თანხა არ უნდა აღემატებოდეს 4 თვის თანამდებობრივ სარგოს წელიწადში.

16. პრემიებს დაამტკიცებს:

— მინისტრისა და მისი მოადგილეებისათვის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

— სამინისტროს ცენტრალური აპარატის დანარჩენი მუშაკებისათვის — მინისტრი.

17. მუშაკებს, რომლებმაც იმუშავეს არასრული კვარტალი საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევასთან, სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან, სასწავლებელში შესვლასთან, პენსიაზე გადასვლასთან, შტატების შემცირების და სხვა საპატიო მიზეზების გამო დათხოვნასთან დაკავშირებით, პრემია დაერიცხებათ ფაქტიურად ნამუშევარი დროისათვის.

18. პრემირების მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ამ დებულების შესაბამისად გაცემული პრემიები მხედველობაში მიიღება მომუშავის საშუალო ხელფასის გამოანგარიშებისას.

19. სამინისტროს აპარატის მუშაკებს პრემიები დაერიცხებათ საბუღალტრო და სტატისტიკური ანგრიშგების მონაცემების საფუძველზე.

მუზ. 9
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 3 თებერვლის № 64
დადგენილების დანართი № 1

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა პრემირების დამატებითი მაჩვენებლები, რომელთა მიხედვით დავალებების შეუსრულებლობისას ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელ მუშაკებს შეუმცირდებათ პრემიების ოდენობა

1. გაანგარიშებითი რენტაბელობის გეგმის შესრულება.
2. კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულება და სიმძლავრეთა ამოქმედება დაწესებულ ვადებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ
ᲙᲝᲞᲘᲐ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 3 თებერვლის № 64
დადგენილების დანართი № 2

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალიზებული ფონდიდან სამინისტროს მმართველობის აპარატის მუშაკთა პრემირების, მათთვის მატერიალური დახმარების გაწევის, საბინაო პირობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ანარიცხების ნორმატივები

1. პრემირებისათვის და მატერიალური დახმარების გასაწევად	საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდის 1,18 პროცენტი
2. საბინაო პირობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად	საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მმართველობის აპარატის მუშაკთათვის გათვალისწინებული მატერიალური წახალისების ფონდის 25,94 პროცენტი

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელ მუშაკთა პრემიების ოდენობა 1978 წლისათვის:

პროდუქციის რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მოგების კვარტალური გეგმების შესრულებისათვის, ახალი ტექნიკის შექმნის, ათვისებისა და დანერგვის სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის, აგრეთვე სარეალიზაციო პროდუქციის საერთო მოცულობაში ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წონის და ავეჯისა და პარკეტის ძირითადი ნომენკლატურის დავალებათა შესრულებისათვის	14 პროცენტი
კვარტალური გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველ პროცენტში:	
— შრომის ნაყოფიერება	0,24 პროცენტი
— სარეალიზაციო პროდუქციის საერთო მოცულობაში უმაღლესი ხარისხის პროდუქციის ხვედრითი წონა	0,24 პროცენტი
— სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობა	0,12 პროცენტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 3 თებერვლის № 64
დადგენილების დანართი

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატისა

1. ხელმძღვანელობა.
2. საწარმოო განყოფილება.
3. საგეგმო-ეკონომიკური განყოფილება.
4. ტექნიკური განყოფილება.
5. კაპიტალური მშენებლობის განყოფილება.
6. მატერიალური ბალანსების განყოფილება.
7. მთავარი მექანიკოსისა და ენერგეტიკოსის განყოფილება.
8. კადრების განყოფილება.
9. შრომის ორგანიზაციისა და ხელფასის განყოფილება.
10. მეორე განყოფილება.
11. საფინანსო განყოფილება.
12. ცენტრალური ბუღალტერია.
13. საკონტროლო-სარევიზიო განყოფილება.
14. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის რიცხოვნობა განისაზღვრება 76 საშტატო ერთეულით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

10 ცოფთან ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ცოფთან ბრძოლის საქმეში განხორციელებულია გარკვეული სპეციალური და სამეურნეო-ორგანიზაციული ღონისძიებანი.

1976-1977 წლებში მოსპობილია 96,4 ათასი მოხეტიალე ძაღლი და უპატრონო კატა, პროფილაქტიკური მიზნით აიცრა 246 ათასი ძაღლი, იძულებით — 10,9 ათასი სული მსხვილფეხა პირუტყვი, 258 სული ცხვარი და თხა, 1.384 სული ღორი.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკაში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში (ქ. ქუთაისი, წყალტუბო, ჭიათურა, ტყიბული, ფოთი, ზესტაფონის, ვანის, მაიაკოვსკის, ლანჩხუთის, ორჯონიკიძის, სამტრედიის, თერჯოლის, წულუკიძის, საჩხერის რაიონები), უკანასკნელ წლებში გაძლიერდა ცოფის ეპიზოოტია. ცოფით დაავადების საწინააღმდეგოდ განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად, 1976-1977 წლებში (არასრული მონაცემებით) ამ სენით დაავადდა და დაიღუპა 212 სული სასოფლო-სამეურნეო ცხოველი.

ამის გამო უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ცხოველების მიერ ადამიანთა დაკბენა-დადორბვლის შემთხვევები და მოსახლეობის მიმართვათა რაოდენობა ცოფის საწინააღმდეგო აცრების ჩასატარებლად (1975 წელს — 7689, 1976 წელს — 9954), ხოლო 1976-1977 წლებში ცოფით დაავადდა და დაიღუპა 9 კაცი.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები სუსტად ახორციელებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 17 სექტემბრის № 617 და 1973 წლის 11 აპრილის № 218 დადგენილებებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. რესპუბლიკის ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და სხვა დასახლებულ ადგილებში მოუგვარებელია ძაღლების სულადობრივი აღრიცხვა და მათი პროფილაქტიკური აცრა. ძალზე არადამაკმაყოფილებლად ტარდება როგორც უპატრონო ცხოველების, ისე ეპიზოოტიის რაიონებში მოხეტიალე ძაღლებისა და კატების დაჭერა-მოსპობა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარული ზედამხედველობის ადგილობრივი ორგანოები სუსტად იყენებენ მინიჭებულ უფლებებს ძაღლების შენახვის წესების დამრღვევთა მიმართ. ამ ორგანოებს საჭირო დახმარებას არ უწევენ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქალაქო და რაიონული განყოფილებები.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ცოფის მხრივ არაკეთილსაიმედო ზონებში მტაცებელი ცხოველების მოსპობას, რაც ქმნის ცოფის გავრცელების საშიშროებას როგორც სასოფლო-სამეურნეო ცხოველებში, ისე ადამიანებში.

მოყვანილი ფაქტები იმას მოწმობს, რომ მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოები არადამაკმაყოფილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლად ეწევიან ცოფის პროფილაქტიკის საკითხებზე ახსნა-განმარტებითსა და სანიტარიულ-საგანმანათლებლო მუშაობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა ცოფთან ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელების მკვეთრად გაუმჯობესებისა და ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრის მიზნით;

— ერთი თვის ვადაში განიხილონ და მიიღონ სათანადო გადაწყვეტილებანი ცოფთან ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერებისათვის, აგრეთვე ძაღლებისა და კატების შენახვის წესების დადგენისათვის. ამ მიზნით გამოიყენონ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს გამოცდილება, ხოლო თბილისის საბჭოს აღმასკომმა გაუწიოს მათ სათანადო მეთოდური დახმარება;

სასტიკად აუკრძალონ მოსახლეობას რეგისტრაციაში გაუტარებელი, აუცრელი და დაუბმელი ძაღლების შენახვა მათი დანიშნულებისა და ჯიშის მიუხედავად, აგრეთვე ძაღლებისა და კატების გაჩუქება და ყიდვა-გაყიდვა ვეტერინარული შემოწმების გარეშე;

— იმ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც არ არსებობს ვეტერინარული სადგურები, შექმნან მუდმივმოქმედი სპეციალური რაზმები მოხეტიალე ძაღლებისა და უპატრონო კატების მოსასპობად;

— საქალაქო, სადაბო, რაიონული და სასოფლო საბჭოების დეპუტატების, მედიცინისა და ვეტერინარიის სპეციალისტების, საზოგადოებრივი სანიტარიული ინსპექტორების ძალებით ერთი თვის ვადაში აღრიცხონ სამოქმედო ტერიტორიაზე ძაღლებისა და კატების სულადობა, ზუსტად უჩვენონ მეპატრონეთა ვინაობა და მასალები გადასცენ ვეტორგანოებს აცრის ჩასატარებლად;

— აკრძალონ თითოეულ ოჯახში ერთ ძაღლზე (არასამსახურებრივი და არასანადირო) მეტის შენახვა. ამ წესების დამრღვევნი დააჯარიმონ ადმინისტრაციული წესით ვეტერინარული და სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოების წარდგინებით;

— 1978 წლიდან ყოველ წელს თებერვალ-მარტში მოაწყონ ცოფთან ბრძოლის ორთვიური ადგილობრივი სავეტერინარო, სამედიცინო დაწესებულებების, საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირისა და მილიციის ორგანოების მონაწილეობით.

ორთვიურის პერიოდში:

— ფართოდ გაშალონ მოსახლეობაში, მოსწავლე ახალგაზრდობაში, მეცხოველეობის ფერმების მუშაკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ცოფის პროფილაქტიკის საკითხებზე ახსნა-განმარტებითი მუშაობა, სისტემატური კონტროლი გაუწიონ მოხეტიალე ძაღლებისა და უპატრონო კატების მთლიანად მოსპობის ღონისძიებათა განხორციელებას, ძაღლების შენახვის წესების დაცვასა და პროფილაქტიკურ ვაქცინაციას, პერიოდულად გააშუქონ ადგილობრივ პრესაში და რადიოთი ცოფის პროფილაქტიკისა და ცხოველების შენახვის წესები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დამატებით ჩამოაყალიბონ გამანადგურებელი რაზმები საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის წევრებისა და მოსახლეობის აქტივისტებისაგან, რომლებიც კარდაკარ შემოვლით უზრუნველყოფენ აღურიცხავ-აუცრელი, მოხეტიალე ძაღლებისა და უპატრონო კატების გამოვლენასა და მოსპობას;

— რეგულარულად მოისმინონ მინისტრთა საბჭოებისა და აღმასკომების სხდომებზე ცოფთან ბრძოლის მდგომარეობა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

— უზრუნველყოს წელიწადში ორჯერ ძაღლებისა და კატების მთლიანი სულადობის პროფილაქტიკური აცრა ანტირაბიული ვაქცინით;

— პერიოდულად მიავლინოს ცოფის მხრივ არაკეთილსაიმედო რაიონებში საუწყებო მილიციის ბრიგადები ვეტსპეციალისტებთან ერთად მოხეტიალე ძაღლებისა და მტაცებელი ცხოველების განადგურების საქმეში პრაქტიკული დახმარების გასაწევად.

ამ ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად ნება დაერთოს მოქმედ რაზმებს, როგორც გამონაკლისი, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენონ ცეცხლსასროლი იარაღი უსაფრთხოებისა და სხვა სათანადო წესების სრული დაცვით (დასახლებული პუნქტების განაპირას, შარაგზებზე). სამივლინებო ხარჯები გაიცეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს 1949 წლის 16 აპრილის № 339-1 ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან;

— გააძლიეროს მუშაობა გარეული ცხოველების ცოფის საწინააღმდეგო ორალური იმუნიზაციის გამოყენების მიზნით;

— სარაიონთაშორისო და რაიონული ვეტსანიტარიული რაზმების მეშვეობით სისტემატურად განახორციელოს მეცხოველეობის მეურნეობებში სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო ღონისძიებანი.

3. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყოველგვარი დახმარება გაუწიოს სოფლის მეურნეობისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს ცოფის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებაში.

4. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა ქმედითი ზომები მიიღონ, განსაკუთრებით ცოფის კერებში, მტაცებელი ცხოველების (მგელი, გარეული კატა, ტურა, მელა და სხვა) რიცხოვნობის რეგულირებისათვის. ცოფის ვირუსის გავრცელების საზღვრების დასადგენად უზრუნველყონ მტაცებელი ცხოველებისაგან მიღებული პათოლოგიური მასალის (ცხოველის თავი) გაგზავნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვირუსოლოგიურ ვეტლაბორატორიაში გამოსაკვლევად.

5. ცოფის ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის დაჩქარების მიზნით დაწესდეს 1978 წლის პირველი თებერვლიდან 1980 წლის 31 დეკემბრამდე ცოფის მხრივ არაკეთილსაიმედო ზონებში ერთ მონადირეზე კალენდარული წლის განმავლობაში მელიების მოპოვებისათვის დამატებითი წამახალისებელი ჯი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლდო შემდეგი ოდენობით: 5 მელიის განადგურებისათვის 25 მანეთი, ხოლო 5-ზე გადამეტებით თითოეულ განადგურებულ მელიაში — 5 მანეთი. დამატებითი წამახალისებელი ჯილდოს გაცემისას მელიის ორი ლეკვი ჩაითვალოს ერთ მოზრდილ მელიად. ჯილდო გაიცეს ხანძრებისა და პირუტყვის დახოცვის თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის ღონისძიებათა დასაფინანსებლად სავალდებულო საგანაკვეთო და ქონების ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახდელთა 8-პროცენტიანი ანარიცხების სახსრებიდან.

6. საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა მითითება მისცეს მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებსა და მონადირეებს, რომ ცოფის მხრივ არაკეთილსაიმედო პუნქტებში (კერებში) მოპოვებული მტაცებელი ცხოველი ვეტერინარი სპეციალისტების ზედამხედველობით მონადირემ უნდა მოსპოს (დაწვას).

7. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

— უზრუნველყოს ცოფის მხრივ საეჭვო ცხოველების მიერ დაკბენილ, დადორბლილ და დაკაწრულ პირთათვის ანტირაბიული აცრის სრული კურსის ჩატარება;

— გაუწიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს სისტემატური მეთოდურ-ორგანიზაციული და პრაქტიკული დახმარება ცოფის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებაში;

— ფართო ახსნა-განმარტებითი და სანიტარიულ-საგანმანათლებლო მუშაობა გასწიოს მოსახლეობაში ცოფის პროფილაქტიკის საკითხებზე.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ უზრუნველყოს, რომ სკოლებში ბიოლოგიის სწავლებისას ყურადღება გამახვილდეს ცოფთან ბრძოლის საკითხებზე.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პოლიგრაფიის, გამომცემლობათა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა სანიტარიული განათლების რესპუბლიკური სახლის დაკვეთით 1978 წლის პირველ ნახევარში გამოსცეს ცოფის საწინააღმდეგო სანიტარიულ-საგანმანათლებლო მასალები: სამი სახელწოდების პლაკატები თითოეული 5 ათასი ეგზემპლარი ტირაჟით, 2 ბროშურა — 5-5 ათასი ეგზემპლარი ტირაჟით, საინსტრუქციო-მეთოდური წერილი მოსახლეობაში ცოფის საწინააღმდეგო სანიტარიულ-საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარების შესახებ 5 ათასი ეგზემპლარის, ფურცლები ცოფის დაავადების შესახებ 30 ათასი ეგზემპლარის რაოდენობით.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა და რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებმა პერიოდულად გააშუქონ ცოფის პროფილაქტიკის საკითხები.

11. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ყოველწლიურად შეამოწმონ ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოველი წლის ივლისში.

12. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ანტირაბიულ მკურნალობაში ცოფის მხრივ საეჭვო ცხოველების მიერ დაკბენილთა ჩაუბმელობისათვის საჩხერის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის პოლიკლინიკის ექიმების ს. კალოვისა და ლ. გაჩეჩილაძის მასალები გადაეცა რესპუბლიკის პროკურატურას.

13. საქინფორმმა გამოაქვეყნოს მიღებული დადგენილების შინაარსი რესპუბლიკურ, საოლქო და რაიონულ გაზეთებში.

14. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უახლოეს დროში უზრუნველყონ ტელევიზიით გადაცემათა სერია ცხოველთა ცოფით დაავადების მდგომარეობისა და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შესახებ.

15. ამ დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით გაუქმებულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 17 სექტემბრის № 617 დადგენილება და 1973 წლის 11 აპრილის № 218 დადგენილების ნაწილი ცოფთან ბრძოლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 6 თებერვალი, № 67

11 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 14 სექტემბრის № 644 დადგენილებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 3 ოქტომბრის № 1184 განკარგულების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„ქვების მრეწველობაში განმეორებით გამოსაყენებლად მოსახლეობისაგან მინის ტარის მიღების გადიდების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 3 იანვრის № 2 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 14 სექტემბრის № 644 დადგენილება „იმპორტის წესით მიღებული ხილბოსტნეულის კონსერვის შუშის ქილების საწინდრის ფასის შესახებ“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 3 ოქტომბრის № 1184 განკარგულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 14 თებერვალი, № 74

12 საქმიანობის ცალკეულ სახეობათა მიხედვით სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) დებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 აპრილის № 291 დადგენილების შესაბამისად დამტკიცდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული თანდართული დებულებანი სამეურნეობათაშორისო საწარმოების შესახებ მათი საქმიანობის სახეობათა მიხედვით:

— მეცხოველეობის პროდუქციის მწარმოებელი სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) შესახებ;

— მემცენარეობის პროდუქციის მწარმოებელი სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) შესახებ;

— სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) შესახებ;

— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მომსახურების სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) შესახებ;

— სოფლის მოსახლეობის არასაწარმოო მომსახურების სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) შესახებ.

2. რჩევა მიეცეთ სამეურნეობათაშორისო საწარმოებს (ორგანიზაციებს) სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) ზოგადი დებულებისა და საქმიანობის სახეობთა მიხედვით სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) დებულებათა საფუძველზე შეიმუშაონ სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) წესდება, დაამტკიცონ იგი მონაწილე მეურნეობების წარმომადგენლების რწმუნებულთა კრებაზე და გაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარონ რეგისტრაციაში სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული საბჭოს აღმასკომში.

3. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სპეციალიზებულ გაერთიანებებსა და ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უზრუნველყონ თითოეული სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) წესდების შემუშავება, დამტკიცება და რეგისტრაცია 1978 წლის 1 ივნისამდე.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაუწიოს სამეურნეობათაშორისო საწარმოებს (ორგანიზაციებს) დახმარება დამტკიცებულ დებულებათა მოთხოვნების პრაქტიკულად შესრულების საქმეში და დააწესოს კონტროლი მათი დაცვისადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 15 თებერვალი, № 77.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 15 თებერვლის № 77
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მეცხოველეობის პროდუქციის მწარმოებელი სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) შესახებ

1. მეცხოველეობის პროდუქციის მწარმოებელ სამეურნეობათაშორისო (საკოლმეურნეობათაშორისო, საბჭოთამეურნეობათაშორისო, სახელმწიფო-საკოლმეურნეო და სხვა სამეურნეობათაშორისო) საწარმოს (ორგანიზაციას) შექმნან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოები და ორგანიზაციები (შემდგომში „მონაწილე მეურნეობებად" წოდებულნი) თავიანთი ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების ნაწილის ნებაყოფლობითი გაერთიანების გზით მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების შემდგომი გადიდების, ამ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის, შრომითი და მატერიალური რესურსების უფრო სრულად გამოყენების საფუძველზე ზემოაღნიშნული პროდუქციის წარმოებისათვის შრომისა და სახსრების დანახარჯების შემცირების მიზნით, აგრეთვე სოფლის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით.

სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) შეიქმნება პროგრესული ტექნოლოგიის საფუძველზე, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქციის წარმოებისათვის, თევზის გამოსაზრდელად, სანაშენო საქმის გაძღოლისა და ცხოველთა სულადობის კვლავწარმოებისათვის.

2. სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) ოპერატიული მართვის საწყისებზე განახორციელებს მისთვის მიჩენილი იმ ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებებს, რომელიც საერთო საკუთრების უფლებით ეკუთვნით კოლმეურნეობებს, სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებსა და ორგანიზაციებს მონაწილე მეურნეობათა შესაბამისი წილის ოდენობით.

თავის საქმიანობაში სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობით, სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) ზოგადი დებულებით, ამ დებულებით, სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) წესდებით, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებით, მტკიცედ იცავს სოციალისტურ კანონიერებასა და სახელმწიფო დისციპლინას.

3. მეცხოველეობის პროდუქციის მწარმოებელი სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) ზოგადი დებულების, ამ დებულების საფუძველზე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით შეიშუშავებს წესებს, რომელსაც დაამტკიცებს მონაწილე მეურნეობების წარმომადგენლების რწმუნებულთა კრება და რომელიც რეგისტრირებულ უნდა იქნეს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) წესდებაში აღნიშნული უნდა იყოს:

— საწარმოს (ორგანიზაციის) დასახელება, მისი ადგილსამყოფელი (საფოსტო მისამართი);

— საწარმოს (ორგანიზაციის) საქმიანობის საგანი და მიზანი მეცხოველეობის, მეთევზეობის, მეფუტკრეობის პროდუქციის წარმოებისათვის, სანაშენო საქმის გაძღოლისათვის, პირუტყვისა და ფრინველის სულადობის კვლავწარმოებისათვის;

— მონაწილე მეურნეობათა ნუსხა;

— იმ ორგანოს დასახელება, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს საწარმოს (ორგანიზაციას);

— მითითება იმის შესახებ, რომ საწარმოს (ორგანიზაციას) აქვს საწესდებო ფონდი;

— მითითება იმის შესახებ, რომ საწარმო (ორგანიზაცია) მოქმედებს სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) ზოგადი დებულებისა და ამ დებულების საფუძველზე და არის იურიდიული პირი;

— იმ თანამდებობის პირის დასახელება, რომელიც სათავეში უდგას საწარმოს (ორგანიზაციას).

წესდებაში შეიძლება შეტანილ იქნეს აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქციის მწარმოებელი საწარმოს (ორგანიზაციის) საქმიანობის თავისებურებებთან დაკავშირებული სხვა დებულებანი, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას.

სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) მის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებს შეიძენს და იურიდიული პირი გახდება წესდების დამტკიცების დღიდან.

4. მეცხოველეობის პროდუქციის მწარმოებელი სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) სახსრები შეიქმნება მონაწილე მეურნეობათა წილობრივი შენატანებისაგან, საწარმოს (ორგანიზაციის) საკუთარი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების ანარიცხებისაგან, საამორტიზაციო ანარიცხებისაგან, აგრეთვე სხვა წყაროების ხარჯზე.

5. მონაწილე მეურნეობათა წილობრივი შენატანების ოდენობის განსაზღვრისა და მათი შეტანის წესს დაადგენს ამ მეურნეობების წარმომადგენლების რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილება.

წილობრივი შენატანები შეიძლება განხორციელდეს როგორც ფულადი სახსრებით, ისევე მატერიალური ფასეულობებით იმ გზით, რომ მონაწილე მეურნეობებმა გადასცენ სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციას) და ჩაირიცხოს მის ბალანსზე მეცხოველეობის საწარმოო და სხვა შენობა-ნაგებობანი, ტექნიკა, ფერმების მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, საკვები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვა ქონება საბალანსო ღირებულების მიხედვით, ცვეთის გათვალისწინებით.

სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის კრედიტის ხარჯზე შეძენილი (აშენებული) ქონების გადაცემისას დაუფარავი სესხის დავალიანებას წილობრივი შენატანის ოდენობით დაფარავს მონაწილე მეურნეობა, ხოლო დავალიანების დანარჩენი თანხა გადაუფორმდება სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციას) კრედიტის დაფარვის წინანდელი ვადების დატოვებით.

სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) მონაწილეთა შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციების წილობრივი შენატანები შეაქვთ:

— კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებს — საკუთარი სახსრების ხარჯზე;

— საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებს — საკუთარი სახსრებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა ხარჯზე.

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 აპრილის № 291 დადგენილების მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) შექმნაში წილობრივი მონაწილეობის წესით შეუძლიათ გამოიყენონ მათთვის გამოყოფილი სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის გრძელვადიანი კრედიტები იმ ვარაუდით, რომ ეს კრედიტები დაიფაროს აღნიშნული მეურნეობებისათვის დაკრედიტების შესაბამისი ობიექტების მიხედვით დაწესებულ ვადებში.

6. სამეურნეობათაშორისო საწარმოში (ორგანიზაციაში) შეიძლება შეიქმნას განვითარების ფონდი, მატერიალური წახალისების ფონდი, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი.

7. დამტკიცებული გეგმების შესაბამისად საწარმოო საქმიანობის განხორციელებისათვის სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია):

— მიიღებს ხელშეკრულებათა საფუძველზე მონაწილე მეურნეობებისაგან, ხოლო თავისუფალ სიმძლავრეთა არსებობისას — სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგანაც, აგრეთვე მოსახლეობისაგან პირუტყვსა და ფრინველს გამოსაზრდელად და გასასუქებლად;

— განახორციელებს პირუტყვისა და ფრინველის სულადობის, სადგამი სულადობის კვლავწარმოებას, თევზის გამოზრდას, გააუმჯობესებს ცხოველთა სანაშენო და ჯიშობრივ თვისებებს;

— მიიღებს საკვების წარმოებაზე დასპეციალებული მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებისაგან, აგრეთვე მონაწილე მეურნეობებისაგან ხელშეკრულებათა მიხედვით მეცხოველეობისათვის საჭირო მაღალხარისხოვან საკვებ რესურსებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეიძენს საჭირო ტექნიკას, მოწყობილობას, საკვებ დანამატებს, მასალებს, სათბობსა და წარმოების სხვა საშუალებებს, მათ შორის წვრილსაბითუმო სპეციალიზებულ ბაზებშიც;

— დაამყარებს და განავითარებს სახელშეკრულებო საწყისებზე პირდაპირ საწარმოო კავშირურთიერთობას სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან.

სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია), მონაწილე მეურნეობათა უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, მიიღებს პირუტყვს, ფრინველსა და საკვებს დამტკიცებულ საანგარიშსწორებო ფასებში, ხოლო მასალებსა და სხვა მატერიალურ ფასეულობებს — დაწესებულ სახელმწიფო ფასებში.

8. სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) მიჰყიდის წარმოებულ პროდუქციას:

— სახელმწიფოს — მონაწილე მეურნეობებისათვის დაწესებული შესყიდვის გეგმების და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებში გათვალისწინებული ამ მეურნეობათა ვალდებულებების შესრულების ანგარიშში;

— მონაწილე მეურნეობებს — საწარმოო-საფინანსო გეგმისა და მათთან დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად;

— სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე გაჰყიდის საკოლმეურნეო ბაზრებზე, დადგენილი წესით.

მეცხოველეობის პროდუქცია დამამზადებელ, სავაჭრო და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს მიეყიდებათ ძირითადად წარმოების ადგილებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დაწესებულ ფასებში.

დადებული ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემდეგ სამეურნეობათაშორისო საწარმოში (ორგანიზაციაში) დარჩენილი ნამეტი პროდუქცია მიეყიდებათ მონაწილე მეურნეობებს, სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს მხარეთა შეთანხმებით დაწესებულ ფასებში.

სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) მიერ საკოლმეურნეო ბაზრებზე გასაყიდი პროდუქციის ფასებს დააწესებს ეს საწარმო (ორგანიზაცია):

სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) მიერ მონაწილე მეურნეობებისათვის შესასრულებელი მომსახურებისა და საწარმოო ხასიათის სამუშაოთა ტარიფები დაწესდება მხარეთა შეთანხმებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მომსახურების ცალკეულ სახეობებზე ვრცელდება ფასწარმოქმნის ორგანოების მიერ დამტკიცებული ტარიფები.

სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) მიერ მოსახლეობისათვის გასაწევი საყოფაცხოვრებო, კომუნალური და სხვა მომსახურების ტარიფებს დააწესებს ეს საწარმო იმ ვარაუდით, რომ იგი არ აღემატებოდეს მოცემულ ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის საწარმოების მიერ მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების შესაბამისი სახეობის მოქმედ ტარიფებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. მეცხოველეობის პროდუქციის მწარმოებელი სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) მართვას დემოკრატიულ საწყისებზე განახორციელებენ მონაწილე მეურნეობების წარმომადგენლების რწმუნებულთა კრება და სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) საბჭო, რომელსაც ისინი აირჩევენ. საწარმოს (ორგანიზაციის) საწარმოო-სამეურნეო საქმიანობისადმი ყოველდღიურ ხელმძღვანელობას, წარმომადგენლების რწმუნებულთა კრებისა და საწარმოს საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებას უზრუნველყოფს სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) დირექტორი, რომელიც ამავე დროს აღნიშნული საბჭოს თავმჯდომარეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1973 წლის 15 თებერვლის № 77
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მემცენარეობის პროდუქციის მწარმოებელი სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) შესახებ

1. მემცენარეობის პროდუქციის მწარმოებელი სამეურნეობათაშორისო (საკოლმეურნეობათაშორისო, საბჭოთამეურნეობათაშორისო, სახელმწიფო-საკოლმეურნეო და სხვა სამეურნეობათაშორისო) საწარმოს (ორგანიზაციას) შექმნიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოები და ორგანიზაციები (შემდგომში „მონაწილე მეურნეობებად“ წოდებულნი) თავიანთი ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური, შრომითი რესურსების ნაწილის ნებაყოფლობითი გაერთიანების გზით მემცენარეობის პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდების, ამ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის, მიწის, შრომითი და მატერიალური რესურსების უფრო სრულად გამოყენების საფუძველზე ზემოაღნიშნული პროდუქციის წარმოებისათვის შრომისა და სახსრების დანახარჯების შემცირების მიზნით, აგრეთვე სოფლის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით.

მემცენარეობის პროდუქციის მწარმოებელი სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) შეიქმნება სხვადასხვა კულტურების თესლის, ხეხილისა და ვაზის ნერგების, ბოსტნეულის, ხილის, კენკრის, ყურძნის, წვნიანი, უხეში და კონცენტრირებული საკვების და მემცენარეობის სხვა პროდუქციის საწარმოებლად.

2. სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) ოპერატიული მართვის საწყისებზე განახორციელებს მისთვის მიჩენილი იმ ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებებს, რომელიც საერთო საკუთრების უფლებით ეკუთვნით კოლმეურნეობებს, სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებსა და ორგანიზაციებს მონაწილე მეურნეობათა შესაბამისი წილის ოდენობით.

თავის საქმიანობაში სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობით, სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) ზოგადი დებულებით, მემცენარეობის პროდუქციის მწარმოებელი სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) ამ დებულებით, სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) წესდებით, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებით, მტკიცედ იცავს სოციალისტურ კანონიერებასა და სახელმწიფო დისციპლინას.

3. მემცენარეობის პროდუქციის მწარმოებელი სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმოს (ორგანიზაციის) ზოგადი დებულების, ამ დებულების საფუძველზე და თავისი საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით შეიმუშავებს წესდებას, რომელსაც დააშტკიცებს მონაწილე მეურნეობების წარმომადგენლების რწმუნებულთა კრება და რომელიც რეგისტრირებულ უნდა იქნეს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) წესდებაში აღნიშნული უნდა იყოს:

— საწარმოს (ორგანიზაციის) დასახელება, მისი ადგილსამყოფელი (საფოსტო მისამართი);

— საწარმოს (ორგანიზაციის) საქმიანობის საგანი და მიზანი;

— მონაწილე მეურნეობათა ნუსხა;

— იმ ორგანოს დასახელება, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს საწარმოს (ორგანიზაციას);

— მითითება იმის შესახებ, რომ საწარმოს (ორგანიზაციას) აქვს საწესდებო ფონდი;

— მითითება იმის შესახებ, რომ საწარმო (ორგანიზაცია) მოქმედებს სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) ზოგადი დებულებისა და ამ დებულების საფუძველზე და არის იურიდიული პირი;

— იმ თანამდებობის პირის დასახელება, რომელიც სათავეში უდგას საწარმოს (ორგანიზაციას);

წესდებაში შეიძლება შეტანილ იქნეს აგრეთვე საწარმოს (ორგანიზაციის) საქმიანობის თავისებურებებთან დაკავშირებული სხვა დებულებანი, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას.

სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) მის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებს შეიძენს და იურიდიული პირი გახდება წესდების დამტკიცების დღიდან.

4. მემცენარეობის პროდუქციის მწარმოებელი სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) სახსრები შეიქმნება მის მონაწილეთა შემადგენლობაში შემავალ მეურნეობათა წილობრივი შენატანებისაგან, საკუთარი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების ანარიცხებისაგან, საამორტიზაციო ანარიცხებისაგან, აგრეთვე სხვა წყაროების ხარჯზე.

5. მონაწილე მეურნეობათა წილობრივი შენატანების ოდენობის განსაზღვრისა და მათი შეტანის წესს დაადგენს ამ მეურნეობების წარმომადგენლების რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილება.

წილობრივი შენატანები შეიძლება განხორციელდეს როგორც ფულადი სახსრებით, ისევე მატერიალური ფასეულობებით იმ გზით, რომ მონაწილე მეურნეობებმა გადასცენ სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციას) და ჩაირიცხოს მის ბალანსზე საწარმოო შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა ქონება საბალანსო ღირებულების მიხედვით, ცვეთის გათვალისწინებით.

სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის კრედიტის ხარჯზე შეძენილი (აშენებული) ქონების გადაცემისას დაუფარავი სესხის დავალია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებას წილობრივი შენატანის ოდენობით დაფარავს მონაწილე მეურნეობა, ხოლო დავალიანების დანარჩენი თანხა გადაუფორმდება სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციას) კრედიტის დაფარვის წინასდელი ვადების დატოვებით.

სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) მონაწილეთა შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციების წილობრივი შენატანები შეაქვთ:

— კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებს — საკუთარი სახსრების ხარჯზე;

— საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებს — საკუთარი სახსრებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა ხარჯზე.

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 აპრილის № 291 დადგენილების მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) შექმნაში წილობრივი მონაწილეობის წესით შეუძლიათ გამოიყენონ მათთვის გამოყოფილი სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის გრძელვადიანი კრედიტები იმ ვარაუდით, რომ ეს კრედიტები დაიფაროს აღნიშნული მეურნეობებისათვის დაკრედიტების შესაბამისი ობიექტების მიხედვით დაწესებულ ვადებში.

6. სამეურნეობათაშორისო საწარმოში (ორგანიზაციაში) შეიძლება შეიქმნას განვითარების ფონდი, მატერიალური წახალისების ფონდი, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი.

7. დამტკიცებული გეგმების შესაბამისად საწარმოო საქმიანობის განხორციელებისათვის სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია):

— შეიძენს თესლს, ნერგებს, საჭირო მოწყობილობას, მასალებს, სათბობსა და წარმოების სხვა საშუალებებს, მათ შორის წვრილსაბითუმო სპეციალიზებულ ბაზებშიც;

— დაამყარებს და განავითარებს სახელშეკრულებო საწყისებზე პირდაპირ საწარმოო კავშირურთიერთობას სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან.

სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) მიიღებს თესლს, ნერგებს, მასალებსა და სხვა მატერიალურ ფასეულობებს დაწესებულ სახელმწიფო ფასებში.

8. სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) მიჰყიდის წარმოებულ პროდუქციას:

— სახელმწიფოს — მონაწილე მეურნეობებისათვის დაწესებული შესყიდვის გეგმების და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებში გათვალისწინებული ამ მეურნეობათა ვალდებულებების შესრულების ანგარიშში, აგრეთვე შესაბამის შემთხვევებში — სამეურნეობათაშორისო საწარმოსათვის (სამეურნეო-

ბათაშორისო სასათბურე კომბინატებისათვის, მებაღეობის, მევენახეობისა და სხვა მეურნეობებისა და ორგანიზაციებისათვის, სადაც პროდუქციის წარმოება ტექნოლოგიურად დაკავშირებული არ არის მეპაიე მეურნეობებთან) დაფუძნებული შესყიდვის გეგმების ანგარიშში;

— მონაწილე მეურნეობებს — საწარმოო-საფინანსო გეგმისა და მათთან დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად;

— სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე გაჰყიდის საკოლმეურნეო ბაზრებზე, დადგენილი წესით.

მემცენარეობის პროდუქცია დამამზადებელ, სავაჭრო და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს მიეყიდებათ ძირითადად წარმოების ადგილებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დაწესებულ ფასებში.

დადებული ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემდეგ სამეურნეობათაშორისო საწარმოში (ორგანიზაციაში) დარჩენილი ნამეტი მემცენარეობის პროდუქცია მიეყიდებათ მონაწილე მეურნეობებს, სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს მხარეთა შეთანხმებით დაწესებულ ფასებში.

სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) მიერ საკოლმეურნეო ბაზრებზე გასაყიდი პროდუქციის ფასებს დააწესებს ეს საწარმო (ორგანიზაცია).

სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) მიერ მონაწილე მეურნეობებისათვის შესასრულებელი მომსახურებისა და საწარმოო ხასიათის სამუშაოთა ტარიფები დაწესდება მხარეთა შეთანხმებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მომსახურების ცალკეულ სახეობებზე ვრცელდება ფასწარმოქმნის ორგანოების მიერ დამტკიცებული ტარიფები.

სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) მიერ მოსახლეობისათვის გასაწევი საყოფაცხოვრებო, კომუნალური და სხვა მომსახურების ტარიფებს დააწესებს ეს საწარმო (ორგანიზაცია) იმ ვარაუდით, რომ იგი არ აღემატებოდეს მოცემულ ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის საწარმოების მიერ მოსახლეობისათვის გაწეული შესაბამისი სახეობის მოქმედ ტარიფებს.

9. მემცენარეობის პროდუქციის მწარმოებელი სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) მართვას დემოკრატიულ საწყისებზე განახორციელებენ მონაწილე მეურნეობების წარმომადგენლების რწმუნებულთა კრება და სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) საბჭო, რომელსაც ისინი აირჩევენ, ხოლო მის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას ყოველდღიურ ხელმძღვანელობას გაუწევს მონაწილე მეურნეობების მიერ უფლებამოსილ პირი — სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) დირექტორი, რომელიც ამავე დროს აღნიშნული საბჭოს თავმჯდომარეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 15 თებერვლის № 77
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) შესახებ

1. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელ სამეურნეობათაშორისო (საკოლმეურნეობათაშორისო, საბჭოთამეურნეობათაშორისო, სახელმწიფო-საკოლმეურნეო და სხვა სამეურნეობათაშორისო) საწარმოს შექმნან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოები და ორგანიზაციები (შემდგომში „მონაწილე მეურნეობებად“ წოდებულნი) თავიანთი ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების ნაწილის ნებაყოფლობითი გაერთიანების გზით სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისაგან კვების პროდუქტების, სახალხო მოხმარების საქონლის, კვებისა და მსუბუქი მრეწველობისათვის ნახევარფაბრიკატების, კომბინირებული საკვების, საკვები დანამატებისა და სხვა პროდუქციის წარმოების გადიდების, მისი ხარისხის გაუმჯობესების, წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის, მიწის, შრომითი და მატერიალური რესურსების უფრო სრულად გამოყენების საფუძველზე ზემოაღნიშნული პროდუქციის წარმოებისათვის შრომისა და სახსრების დანახარჯების შემცირების მიზნით, აგრეთვე სოფლის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით.

სამეურნეობათაშორისო საწარმოები: საკონსერვო, წვენების, კომბინირებული საკვების, ჰიდროლიზ-საფუვრის, სელგადამმუშავებელი ქარხნები, წისქვილები, საცეხველები, ზეთსახდელები და სხვა საწარმოები შეიქმნება სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი გადამუშავებისათვის, ხილბოსტნეულის კონსერვების, წვენებისა და ღვინომასალების, ფქვილის, ბურღულის, მცენარეული ზეთის, კომბინირებული საკვების, მოუხდელი რძის შემცვლელის, მშრალი საკვები საფუვრისა და სხვა საკვები დანამატების წარმოებისათვის, აგრეთვე მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქციის გადასამუშავებლად.

2. სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) ოპერატიული მართვის საწყისებზე განახორციელებს მისთვის მიჩენილი იმ ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებებს, რომელიც საერთო საკუთრების უფლებით ეკუთვნით კოლმეურნეობებს, სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებსა და ორგანიზაციებს მონაწილე მეურნეობათა შესაბამისი წილის ოდენობით.

თავის საქმიანობაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი სამეურნეობათაშორისო საწარმო ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობით, სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოს ზოგადი დებულებით, ამ დებულებით და სამეურნეობათაშორისო საწარმოს წესდებით, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებით, მტკიცედ იცავს სოციალისტურ კანონიერებასა და სახელმწიფო დისციპლინას.

3. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი სამეურნეობათაშორისო საწარმო ამ დებულების საფუძველზე და თავისი საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით შეიმუშავებს წესდებას, რომელსაც დაამტკიცებს მონაწილე მეურნეობების წარმომადგენლების რწმუნებულთა კრება და რომელიც რეგისტრირებულ უნდა იქნეს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

სამეურნეობათაშორისო საწარმოს წესდებაში აღნიშნული უნდა იყოს:

— საწარმოს დასახელება, მისი ადგილსამყოფელი (საფოსტო მისამართი);

— საწარმოს საქმიანობის საგანი და მიზანი;

— მონაწილე მეურნეობათა ნუსხა;

— იმ ორგანოს დასახელება, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს საწარმოს;

— მითითება იმის შესახებ, რომ საწარმოს აქვს საწესდებო ფონდი;

— მითითება იმის შესახებ, რომ საწარმო მოქმედებს სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) ზოგადი დებულებისა და ამ დებულების საფუძველზე და არის იურიდიული პირი;

— იმ თანამდებობის პირის დასახელება, რომელიც სათავეში უდგას საწარმოს.

წესდებაში შეიძლება შეტანილ იქნეს აგრეთვე საწარმოს საქმიანობის თავისებურებებთან დაკავშირებული სხვა დებულებანი, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას.

სამეურნეობათაშორისო საწარმო მის საწარმო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებს შეიძენს და იურიდიული პირი გახდება წესდების დამტკიცების დღიდან.

4. სამეურნეობათაშორისო საწარმოს სახსრები შეიქმნება მის მონაწილეთა შემადგენლობაში შემავალ მეურნეობათა წილობრივი შენატანებისაგან, საკუთარი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების ანარიცხებისაგან, საამორტიზაციო ანარიცხებისაგან, აგრეთვე სხვა წყაროების ხარჯზე.

5. მონაწილე მეურნეობათა წილობრივი შენატანების ოდენობის განსაზღვრისა და მათი შეტანის წესს დაადგენს ამ მეურნეობების წარმომადგენლების რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილება.

წილობრივი შენატანები შეიძლება განხორციელდეს როგორც ფულადი სახსრებით, ისევე მატერიალური ფასეულობებით იმ გზით, რომ მონაწილე მეურნეობებმა გადასცენ სამეურნეობათაშორისო საწარმოს და ჩაირიცხოს მის ბალანსზე საწარმოო შენობა-ნაგებობანი, ტექნიკა, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა ქონება საბალანსო ღირებულების მიხედვით, ცვეთის გათვალისწინებით.

სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის კრედიტის ხარჯზე შეძენილი (აშენებული) ქონების გადაცემისას დაუფარავი სესხის დავალიანებას წილობრივი შენატანის ოდენობით დაფარავს მონაწილე მეურნეობა, ხოლო დავალიანების დანარჩენი თანხა გადაუფორმდება სამეურნეობათაშორისო საწარმოს კრედიტის დაფარვის წინანდელი ვადების დატოვებით.

სამეურნეობათაშორისო საწარმოს მონაწილეთა შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციების წილობრივი შენატანები შეაქვთ:

— კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებსა და ორგანიზაციებს — საკუთარი სახსრების ხარჯზე;

— საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებს — საკუთარი სახსრებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა ხარჯზე.

მონაწილე მეურნეობებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 აპრილის № 291 დადგენილების მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი სამეურნეობათაშორისო საწარმოს შექმნაში წილობრივი მონაწილეობის წესით შეუძლიათ გამოიყენონ მათთვის გამოყოფილი სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის გრძელვადიანი კრედიტები იმ ვარაუდით, რომ ეს კრედიტები დაიფაროს აღნიშნული მეურნეობებისათვის დაკრედიტების შესაბამისი ობიექტების მიხედვით დაწესებულ ვადებში.

6. სამეურნეობათაშორისო საწარმოში შეიძლება შეიქმნას განვითარების ფონდი, მატერიალური წახალისების ფონდი, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი.

7. დამტკიცებული გეგმების შესაბამისად საწარმოო საქმიანობის განხორციელებისათვის სამეურნეობათაშორისო საწარმო:

— მიიღებს ხელშეკრულებათა საფუძველზე მონაწილე მეურნეობებისაგან, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისაგან, ხოლო თავისუფალ სიმძლავრეთა არსებობისას — სხვა საწარმოებისაგანაც მარცვლეულს, ზეთოვანი კულტურების თესლს, ხილს, კენკრას, ყურძენს, ბოსტნეულსა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციას გადასამუშავებლად;

— მიიღებს სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისაგან ნედლეულსა და მასალებს პროდუქციის დასამზადებლად ხელშეკრულებათა მიხედვით;

— შეიძენს საჭირო ტექნიკას, მოწყობილობას, სათბობს, მასალებსა და წარმოების სხვა საშუალებებს, მათ შორის წვრილსაბითუმო სპეციალიზებულ ბაზებშიც;

— მოაწყობს დადგენილი წესით ადგილობრივი ნედლეულის, საკვები დანამატებისა და სხვა მასალების დამზადებასა და წარმოებას გადასამუშავებლად ან მონაწილე მეურნეობათა საჭიროებისათვის;

— დაამყარებს და განავითარებს სახელშეკრულებო საწყისებზე პირდაპირ საწარმოო კავშირურთიერთობას სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეობათაშორისო საწარმო მიიღებს გადასამუშავებელ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს დამტკიცებულ შესასყიდ ფასებში, საკვებს — საანგარიშსწორებო ფასებში, ხოლო მასალებსა და სხვა მატერიალურ ფასეულობებს — დაწესებულ სახელმწიფო ფასებში.

8. სამეურნეობათაშორისო საწარმო მიჰყიდის წარმოებულ პროდუქციას:

— სახელმწიფოს — მონაწილე მეურნეობებისათვის დაწესებული შესყიდვის გეგმების და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებში გათვალისწინებული ამ მეურნეობათა ვალდებულებების შესრულების ანგარიშში, აგრეთვე შესაბამის შემთხვევებში — სამეურნეობათაშორისო საწარმოსათვის დაწესებული გეგმების შესრულების ანგარიშში;

— მონაწილე მეურნეობებს — საწარმოო-საფინანსო გეგმისა და მათთან დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად;

— სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე გაჰყიდის საკოლმეურნეო ბაზრებზე, დადგენილი წესით.

მზა პროდუქცია და ნახევარფაბრიკატები დამამზადებელ, სავაჭრო და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს მიეყიდებათ ძირითადად წარმოების ადგილებში დაწესებულ ფასებში.

დადებული ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემდეგ სამეურნეობათაშორისო საწარმოში დარჩენილი სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და გადამუშავებული მზა პროდუქციის ნამეტი მიეყიდებათ მონაწილე მეურნეობებს, სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს მხარეთა შეთანხმებით დაწესებულ ფასებში.

სამეურნეობათაშორისო საწარმოს მიერ საკოლმეურნეო ბაზრებზე გასაყიდი პროდუქციის ფასებს დააწესებს ეს საწარმო.

სამეურნეობათაშორისო საწარმოს მიერ სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით დამზადებული სახალხო მოხმარების საქონელი მიეყიდება მოსახლეობას სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ქსელის მეშვეობით მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ფასებში, მაგრამ არა უმეტეს რეალიზაციის ადგილებში მოქმედი ანალოგიური საქონლის სახელმწიფო საცალო ფასებისა.

სამეურნეობათაშორისო საწარმოს მიერ მონაწილე მეურნეობებისათვის შესასრულებელი მომსახურებისა და საწარმოო ხასიათის სამუშაოთა ტარიფები დაწესდება მხარეთა შეთანხმებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მომსახურების ცალკეულ სახეობებზე ვრცელდება ფასწარმოქმნის ორგანოების მიერ დამტკიცებული ტარიფები.

9. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი სამეურნეობათაშორისო საწარმოს მართვას დემოკრატიულ საწყისებზე განახორციელებენ მონაწილე მეურნეობების წარმომადგენლების რწმუნებულთა კრება და სამეურნეობათაშორისო საწარმოს საბჭო, რომელსაც ისინი აირჩევენ. საწარმოო-სამეურნეო საქმიანობისადმი ყოველდღიურ ხელმძღვანელობას, წარმომად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენლების რწმუნებულთა კრებისა და საწარმოს საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებას უზრუნველყოფს სამეურნეობათაშორისო საწარმოს დირექტორი, რომელიც ამავე დროს აღნიშნული საბჭოს თავმჯდომარეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 15 თებერვლის № 77
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მომსახურების სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) შესახებ

1. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მომსახურების სამეურნეობათაშორისო (საკოლმეურნეობათაშორისო, საბჭოთამეურნეობათაშორისო, სახელმწიფო-საკოლმეურნეო და სხვა სამეურნეებათაშორისო) საწარმოს (ორგანიზაციას) შექმნიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოები და ორგანიზაციები (შემდგომში „მონაწილე მეურნეობებად" წოდებულნი) თავიანთი ფინანსური, შრომითი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ნაწილის ნებაყოფლობითი გაერთიანების გზით იმისათვის, რომ:

— განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვის, მელიორირებული ფართობების მიმდინარე დაგეგმვის სამუშაოები, წესიერულ მდგომარეობაში იქონიოს შინასამეურნეო-სამელიორაციო ქსელი და სარწყავი ტექნიკა, წყლით მოამარაგოს მეცხოველეობის ფერმები და სხვა საწარმოო ობიექტები;

— შეასრულოს ტბორების, სასილოსე ნაგებობების, სამეურნეობათაშორისო და შინასამეურნეო გზების რეკონსტრუქციისა და რემონტის, მეურნეობათა ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები და სხვა მიწის სამუშაოები;

— განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესვლა;

— განახორციელოს კულტურტექნიკური სამუშაოები მიწებზე, რომლებიც დაშრობას არ საჭიროებენ, მიწების ძირეული გაუმჯობესების სამუშაოები, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა მთელი კომპლექსი;

— შეასრულოს მინერალური და ორგანული სასუქების, თაბაშირისა და კირქვის მასალების, აგრეთვე მავნებლებისა და დაავადებებისაგან მცენარეთა დაცვის საშუალებების ეფექტიანად გამოყენებისა და შეტანის სამუშაოები;

— განახორციელოს სხვადასხვა სპეციალური ტვირთის გადაზიდვა;

— მოემსახუროს მეურნეობებს ელექტროტექნიკური ლაბორატორიებით, განახორციელოს სადეზინფექციო და სხვა სამუშაოები;

— განახორციელოს სატყეო-სამეურნეო სამუშაოთა, ტყის დაცვის, ექსპლუატაციისა და მერქნის გადამუშავების მთელი კომპლექსი;

— განახორციელოს ენერგეტიკული და ელექტროტექნიკური მოწყობილობის მომსახურება (სოფლენერგო).

2. სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) ოპერატიული მართვის საწყისებზე განახორციელებს მისთვის მიჩენილი იმ ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებებს, რომელიც საერთო საკუთრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლებით ეკუთვნით კოლმეურნეობებს, სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებსა და ორგანიზაციებს მონაწილე მეურნეობათა შესაბამისი წილის ოდენობით.

თავის საქმიანობაში სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობით, სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) ზოგადი დებულებით, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მომსახურების სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) ამ დებულებით, სამეურნეობათაშორისო საწარმოს წესდებით, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებით, მტკიცედ იცავს სოციალისტურ კანონიერებასა და სახელმწიფო დისციპლინას.

3. სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) ზოგადი დებულების, ამ დებულების საფუძველზე და თავისი საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით შეიმუშავებს წესდებას, რომელსაც დაამტკიცებს მონაწილე მეურნეობების წარმომადგენლების რწმუნებულთა კრება და რომელიც რეგისტრირებულ უნდა იქნეს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მომსახურების სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) წესდებაში აღნიშნული უნდა იყოს:

— საწარმოს (ორგანიზაციის) დასახელება, მისი აღგილსამყოფელი (საფოსტო მისამართი);

— საწარმოს (ორგანიზაციის) საქმიანობის საგანი და მიზანი;

— მონაწილე მეურნეობათა ნუსხა;

— იმ ორგანოს დასახელება, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს საწარმოს (ორგანიზაციას);

— მითითება იმის შესახებ, რომ საწარმოს (ორგანიზაციას) აქვს საწესდებო ფონდი;

— მითითება იმის შესახებ, რომ საწარმო (ორგანიზაცია) მოქმედებს ამ დებულების საფუძველზე და არის იურიდიული პირი;

— იმ თანამდებობის პირის დასახელება, რომელიც სათავეში უდგას საწარმოს (ორგანიზაციას).

წესდებაში შეიძლება შეტანილ იქნეს აგრეთვე საწარმოს (ორგანიზაციის) საქმიანობის თავისებურებებთან დაკავშირებული სხვა დებულებანი, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას.

სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) მის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებს შეიძენს და იურიდიული პირი გახდება წესდების დამტკიცების დღიდან.

4. სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) სახსრები შეიქმნება მის მონაწილეთა შემადგენლობაში შემავალ მეურნეობათა წილობრივი შენატანებისაგან, საკუთარი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებული მოგების ანარიცხებისაგან, საამორტიზაციო ანარიცხებისაგან, აგრეთვე სხვა წყაროების ხარჯზე.

5. მონაწილე მეურნეობათა წილობრივი შენატანების ოდენობის განსაზღვრისა და მათი შეტანის წესს დაადგენს ამ მეურნეობების წარმომადგენლების რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილება.

წილობრივი შენატანები შეიძლება განხორციელდეს როგორც ფულადი სახსრებით, ისევე მატერიალური ფასეულობებით იმ გზით, რომ მონაწილე მეურნეობებმა გადასცენ სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციას) და ჩაირიცხოს მის ბალანსზე საწარმოო შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა ქონება საბალანსო ღირებულების მიხედვით, ცვეთის გათვალისწინებით.

სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის კრედიტის ხარჯზე შეძენილი (აშენებული) ქონების გადაცემისას დაუფარავი სესხის დავალიანებას წილობრივი შენატანის ოდენობით დაფარავს მონაწილე მეურნეობა, ხოლო დავალიანების დანარჩენი თანხა გადაუფორმდება სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციას) კრედიტის დაფარვის წინანდელი ვადების დატოვებით.

სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) მონაწილეთა შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების წილობრივი შენატანები შეაქვთ:

— კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, — საკუთარი სახსრების ხარჯზე;

საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა .სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებს — საკუთარი სახსრებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა ხარჯზე.

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 აპრილის № 291 დადგენილების მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) შექმნაში წილობრივი მონაწილეობის წესით შეუძლიათ გამოიყენონ მათთვის გამოყოფილი სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის გრძელვადიანი კრედიტები იმ ვარაუდით, რომ ეს კრედიტები დაიფაროს აღნიშნული მეურნეობებისათვის დაკრედიტების შესაბამისი ობიექტების მიხედვით დაწესებულ ვადებში.

6. სამეურნეობათაშორისო საწარმოში (ორგანიზაციაში) შეიძლება შეიქმნას განვითარების ფონდი, მატერიალური წახალისების ფონდი, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი.

7. დამტკიცებული გეგმების შესაბამისად საწარმოო საქმიანობის განხორციელებისათვის სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია):

— შეიძენს ავტოტრანსპორტს, სპეციალიზებულ მოძრავ შემადგენლობას, სავეტერინარო-სადეზინფექციო დანადგარებს, ელექტროტექნიკურ ლაბორა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორიებს, საგზაო-სამშენებლო და დასატვირთ-გადმოსატვირთ მანქანებსა და მექანიზმებს, მოწყობილობას, სათადარიგო ნაწილებს, მასალებს, სათბობსა და წარმოების სხვა საშუალებებს, მათ შორის წვრილსაბითუმო სპეციალიზებულ ბაზებშიც;

— მოაწყობს დადგენილი წესით ადგილობრივი ნედლეულისა და მასალების მოპოვებასა და დამზადებას მონაწილე მეურნეობათა საჭიროებისათვის;

— დაამყარებს და განავითარებს სახელშეკრულებო საწყისებზე პირდაპირ საწარმოო კავშირურთიერთობას სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან.

სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) შეიძენს სატრანსპორტო საშუალებებს, მოწყობილობასა და სხვა მატერიალურ ფასეულობებს დაწესებულ სახელმწიფო ფასებში.

8. სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) მიერ მონაწილე მეურნეობებისათვის შესასრულებელი მომსახურებისა და სამუშაოთა ტარიფები დაწესდება მხარეთა შეთანხმებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მომსახურების ცალკეულ სახეობებზე ვრცელდება ფასწარმოქმნის ორგანოების მიერ დამტკიცებული ტარიფები.

9. სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) მართვას დემოკრატიულ საწყისებზე განახორციელებენ მონაწილე მეურნეობების წარმომომადგენლების რწმუნებულთა კრება და სამეურნეობათაშორისო საწარმოს საბჭო, რომელსაც ისინი აირჩევენ, ხოლო მის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას ყოველდღიურ ხელმძღვანელობას გაუწევს მონაწილე მეურნეობების მიერ უფლებამოსილი პირი — სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) დირექტორი, რომელიც ამავე დროს აღნიშნული საბჭოს თავმჯდომარეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 15 თებერვლის № 77
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სოფლის მოსახლეობის არასაწარმოო მომსახურების სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) შესახებ

1. სოფლის მოსახლეობის არასაწარმოო მომსახურების სამეურნეობათაშორისო (საკოლმეურნეობათაშორისო, საბჭოთამეურნეობათაშორისო, სახელმწიფო-საკოლმეურნეო და სხვა სამეურნეობათაშორისო) საწარმოს (ორგანიზაციას) შექმნიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოები და ორგანიზაციები (შემდგომში „მონაწილე მეურნეობებად" წოდებულნი) თავიანთი ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების ნაწილის ნებაყოფლობითი გაერთიანების გზით იმისათვის, რათა უზრუნველყოს კოლმეურნეობების წევრთა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა და მათ ბავშვთა გაჯანსაღება, კოლმეურნეობების ღრმად მოხუცებულ წევრთა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა მოვლა-შენახვა, აგრეთვე კოლმეურნეობების წევრთათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწევა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრებით ერთობლივი გამაჯანსაღებელი (სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პიონერთა ბანაკები, ღრმად მოხუცებულთა სახლები) და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მშენებლობისა და გამოყენების საფუძველზე სოფლის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით.

2. სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) ოპერატიული მართვის საწყისებზე განახორციელებს მისთვის მიჩენილი იმ ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებებს, რომელიც საერთო საკუთრების უფლებით ეკუთვნით კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებსა და ორგანიზაციებს მონაწილე მეურნეობათა შესაბამისი წილის ოდენობით.

თავის საქმიანობაში სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობით, სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) ზოგადი დებულებით, ამ დებულებით, სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) წესდებით, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებით, მტკიცედ იცავს სოციალისტურ კანონიერებასა და სახელმწიფო დისციპლინას.

3. სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) შეიმუშავებს თავისი საქმიანობის გათვალისწინებით წესდებას, რომელსაც დაამტკიცებს მონაწილე

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეურნეობების წარმომადგენლების რწმუნებულთა კრება და რომელიც რეგისტრირებულ უნდა იქნეს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) წესდებაში აღნიშნული უნდა იყოს:

— საწარმოს (ორგანიზაციის) დასახელება, მისი ადგილსამყოფელი (საფოსტო მისამართი);

— საწარმოს (ორგანიზაციის) საქმიანობის საგანი და მიზანი;

— მონაწილე მეურნეობათა ნუსხა;

— იმ ორგანოს დასახელება, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს საწარმოს (ორგანიზაციას);

— მითითება იმის შესახებ, რომ საწარმოს (ორგანიზაციას) აქვს საწესდებო ფონდი;

— მითითება იმის შესახებ, რომ საწარმო (ორგანიზაცია) მოქმედებს სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) ზოგადი დებულებისა და ამ დებულების საფუძველზე და არის იურიდიული პირი;

— იმ თანამდებობის პირის დასახელება, რომელიც სათავეში უდგას საწარმოს (ორგანიზაციას).

წესდებაში შეიძლება შეტანილ იქნეს აგრეთვე საწარმოს (ორგანიზაციის) საქმიანობის თავისებურებებთან დაკავშირებული სხვა დებულებანი, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას.

სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) მის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებს შეიძენს და იურიდიული პირი გახდება წესდების დამტკიცების დღიდან.

4. სახსრები სამეურნეობათაშორისო სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, პიონერთა ბანაკების, ღრმად მოხუცებულთა სახლების, კომუნალური მეურნეობებისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების ასაშენებლად შეიქმნება საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) მონაწილეთა შემადგენლობაში შემავალ მეურნეობათა წილობრივი შენატანებისაგან, საკუთარი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების ანარიცხებისაგან, საამორტიზაციო ანარიცხებისაგან, აგრეთვე სხვა წყაროების ხარჯზე. გარდა ამისა, გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ასაშენებლად შეიძლება დაიხარჯოს კოლმეურნეთა სოციალური დაზღვევის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის სახსრები. კოლმეურნეთა სოციალური დაზღვევის ცენტრალიზებული ფონდიდან გამოყოფილი საგზურები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ კოლმეურნეთა გასაჯანსაღებლად, რომელთა კოლმეურნეობები პირდაპირი მეპაიეები არ არიან. ისინი განაწილდება ცენტრალიზებული წესით რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობას შორის კოლმეურნეობების წევრთა რიცხვის პროპორციულად.

5. მონაწილე მეურნეობათა წილობრივი შენატანების განსაზღვრისა და მათი შეტანის წესს დაადგენს ამ მეურნეობების წარმომადგენლების რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილება.

წილობრივი შენატანები შეიძლება განხორციელდეს როგორც ფულადი სახსრებით, ისევე მატერიალური ფასეულობებით იმ გზით, რომ მონაწილე მეურნეობებმა გადასცენ სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციას) და ჩაირიცხოს მის ბალანსზე საწარმოო შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა ქონება საბალანსო ღირებულების მიხედვით, ცვეთის გათვალისწინებით.

სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის კრედიტის ხარჯზე შეძენილი (აშენებული) ქონების გადაცემისას დაუფარავი სესხის დავალიანებას წილობრივი შენატანის ოდენობით დაფარავს მონაწილე მეურნეობა, ხოლო დავალიანების დანარჩენი თანხა გადაუფორმდება სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციას) კრედიტის დაფარვის წინანდელი ვადების დატოვებით.

სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) მონაწილეთა შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციების წილობრივი შენატანები შეაქვთ:

— კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებსა და ორგანიზაციებს — საკუთარი სახსრების ხარჯზე;

— საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებს — საკუთარი სახსრებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა ხარჯზე.

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 აპრილის № 291 დადგენილების მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) შექმნაში წილობრივი მონაწილეობის წესით შეუძლიათ გამოიყენონ მათთვის გამოყოფილი სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის გრძელვადიანი კრედიტები იმ ვარაუდით, რომ ეს კრედიტები დაიფაროს აღნიშნული მეურნეობებისათვის დაკრედიტების შესაბამისი ობიექტების მიხედვით დაწესებულ ვადებში.

6. სამეურნეობათაშორისო საწარმოში (ორგანიზაციაში) შეიძლება შეიქმნას განვითარების ფონდი, მატერიალური წახალისების ფონდი, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი.

7. დამტკიცებული გეგმების შესაბამისად საწარმოო საქმიანობის განხორციელებისათვის სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) შეიძენს გამაჯანსაღებელი დაწესებულებებისათვის საჭირო მოწყობილობას: სამედიცინო აპარატურას, მედიკამენტებს, მაგარ და რბილ ინვენტარს, სათანადო ტრანსპორტსა და წარმოების სხვა საშუალებებს, მათ შორის წვრილსაბითუმო სპეციალიზებულ ბაზებშიც.

8. სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) დაამტკიცებს პროდუქტების, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმებს, თუ აღნიშნული ნორმების დამტკიცება იმ ორგანოების სარგებლობას არ განეკუთვნება,

ეროვნული ბიბლიოთეკა № 1

რომლებიც ხელმძღვანელობას უწევენ სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციას).

სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) მიერ მონაწილე მეურნეობებისათვის შესასრულებელი მომსახურებისა და საწარმოო სასიათის სამუშაოთა ტარიფები დაწესდება მხარეთა შეთანხმებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მომსახურების ცალკეულ სახეობებზე ვრცელდება ფასწარმოქმნის ორგანოების მიერ დამტკიცებული ტარიფები.

მოსახლეობისათვის გასაწევი საყოფაცხოვრებო, კომუნალური და სხვა მომსახურების ტარიფებს დააწესებს ეს საწარმო იმ ვარაუდით, რომ იგი არ აღემატებოდეს მოცემულ ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის საწარმოების მიერ მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების შესაბამისი სახეობის მოქმედ ტარიფებს.

9. სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) მართვას დემოკრატიულ საწყისებზე განახორციელებენ მონაწილე მეურნეობების წარმომადგენლების რწმუნებულთა კრება და სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) საბჭო, რომელსაც ისინი აირჩევენ. ხოლო მის საწარმოო საქმიანობას ყოველდღიურ ხელმძღვანელობას გაუწევს მონაწილე მეურნეობების მიერ უფლებამოსილი პირი — სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) დირექტორი, რომელიც ამავე დროს აღნიშნული საბჭოს თავმჯდომარეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13 საქართველოს ბალახების ჯიშიანი თესლის შესასყიდი ფასების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მრავალწლოვანი და ერთწლოვანი ბალახების მეთესლეობის გაუმჯობესების, სამრეწველო საწყისებზე მისი გადაყვანის, თესლის წარმოების გაზრდისა და მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის უზრუნველსაყოფად მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება და დაწესდეს რესპუბლიკის სპეციალიზებული მეთესლეობისა და სხვა მეურნეობებიდან პირველი კლასის მრავალწლოვანი და ერთწლოვანი საკვები ბალახების ჯიშიანი თესლის შესასყიდი და გასაცემი ფასები დანართის თანახმად.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 6 მარტის № 138 დადგენილების დანართის პუნქტები გარდა მეორე და მესამე პუნქტისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 24 თებერვალი, № 100

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 24 თებერვლის № 100
დადგენილების დანართი

რესპუბლიკის სპეციალიზებული მეთესლეობის მეურნეობებიდან რეალიზებული მრავალწლოვანი და ერთწლოვანი ბალახების პირველი კლასის ჯიშიანი თესლის შესასყიდი და გასაცემი ფასები

(მანეთობით კილოგრამში)

კულტურების დასახელება	შესასყიდი ფასი	გასაცემი ფასი
1. ესპარცეტი	1,00	1,40
2. ლურჯი იონჯა	8.40	9,00
3. თეთრი სამყურა	6,40	7,00
4. წითელი სამყურა	6,40	7,00
5. საძოვრის კოინდარი	3,40	4,00
6. საკვები ბარდა	0,60	0,80
7. ცერცველა	0,70	0,90
8. ცულისპირა	0,70	0,80
9. სუდანურა	0,50	0,70
10. ტიმოთელა	1,90	2,30
11. მდელოს წივანა	2,70	3,00
12. სათითურა	3,60	4,00
13. კოინდარი მრავალსათიბი	1,70	2,00
14. კურდღლისფრჩხილა	7,60	8,00
15. უფხო შვრიელა	1,70	2,00
16. ძიძო	4,70	5,00
17. სორგო	0,60	0,90

შენიშვნა: საკვები ბალახების თესლი, რომელსაც გადახრა ექნება პირველი კლასის სტანდარტიდან, გაიცემა სათანადო ფასდაკლებით პირველი კლასის თესლის ფასებთან შედარებით:

ა) სიწმინდით დაქვეითებული ყოველი პროცენტისათვის ფასდაკლება 1,5 პროცენტი;

ბ) აღმოცენებით დაქვეითებული ყოველი პროცენტისათვის — 1 პროცენტი;

გ) საბაზისო ტენიანობიდან ყოველი პროცენტის გადახრისათვის — 1 პროცენტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

14 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 30 დეკემბრის № 1136 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 30 დეკემბრის № 1136 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 29 ნოემბრის № 1364 დადგენილება „საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოების და ქალებისა და ბავშვების სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, მე-13 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 21-ე პუნქტის გარდა.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 15 აგვისტოს № 678 დადგენილება „სასწრაფო დახმარების სადგურებისა და გადაუდებელი დახმარების პუნქტების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

3. მე-2 პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 28 სექტემბრის № 1117 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ჩვილ ბავშვთა სახლების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 18 მაისის № 490 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 23 ნოემბრის № 1376 დადგენილება „ტუბერკულოზით დაავადების შემცირების ღონისძიებათა შესახებ“, 1-ლი, მე-5, მე-6, მე-15 პუნქტებისა და მე-4 პუნქტის პირველი აბზაცის გარდა.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 12 ივლისის № 792 დადგენილება „ბავშვთა დაწესებულებებისა და სამშობიარო სახლების ქსელის გაფართოების და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 15 ნოემბრის № 1553 დადგენილება „ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელის მოწესრიგებისა და ერთიანი ნომენკლატურის დაწესების შესახებ“.

7. მე-3 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 28 აგვისტოს № 1160 დადგენილებისა „კოლმეურნეობებში საბავშვო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 24 თებერვალი, № 101

ეროვნული ბიბლიოთეკა

15 საქართველოს სსრ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკის ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად და მისი შესრულების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სტრუქტურაში შემდეგი ცვლილებანი:

გაუქმდეს:

— საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის სამმართველო;

— საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის სამმართველოსთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭო;

— საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის სამმართველოს სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნო.

შეიქმნას:

— საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო და მისი სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოების გაერთიანება, თითოეული მათგანი დამოუკიდებელი ბალანსით და სამეურნეო ანგარიშზე და დამტკიცდეს მათი სტრუქტურა და სამტატო განრიგი № 1 დანართის თანახმად;

— საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნების განყოფილება სპეცსახსრებზე და დამტკიცდეს მისი სტრუქტურა და სამტატო განრიგი № 2 დანართის თანახმად.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს გადაეცეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნებისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოს ყველა შესაბამისი საუწყებო ორგანიზაცია შტატებით, ზღვრული ასიგნებებით, ხელფასის ფონდითა და მატერიალური ბაზით.

2. მიღებულ იქნეს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების წინადადება და დამტკიცდეს მისი ახალი სტრუქტურა და სამტატო განრიგი № 3 დანართის თანახმად.

აღნიშნული საზოგადოება სამკურნალო-სანატორიული მომსახურებით გაუთანაბრდეს საზოგადოება „ცოდნას“.

3. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

სამმართველოს დაექვემდებაროს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ბუნების ძეგლები № 4 დანართის თანახმად.

4. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის მთავარმა სამეცნიერო-საწარმოო სამმართველომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად 1978 წლის ბოლომდე დააზუსტოს რესპუბლიკაში არსებული ბუნების ძეგლების სია და წარმოუდგინოს წინადადება მათი უწყებრივი მიკუთვნების შესახებ.

5. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს დაექვემდებაროს № 5 დანართში ჩამოთვლილი დაწესებულებანი, ამასთან გადაცემულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს დაეკისროთ მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს ზონალური წარმომადგენლის ფუნქციები.

6. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარმა სამეცნიერო-საწარმოო სამმართველომ ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს დებულება და მასთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულება და შემადგენლობა.

7. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსმა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცოს ამ სამმართველოსა და მის სისტემაში შემავალი ორგანიზაციების საშტატო განაკვეთები.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

— საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსათვის დაწესებულ მაჩვენებლებში 1979 წლიდან ცალკე სტრიქონად გაითვალისწინოს მასალების, მოწყობილობის, ინვენტარისა და სატრანსპორტო საშუალებათა გამოყოფა მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს განაცხადების მიხედვით;

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ 1978 წელს გამოუყოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს საჭირო მასალები, ინვენტარი, მოწყობილობა და სატრანსპორტო საშუალებანი მისი განაცხადის მიხედვით.

10. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ ყოველწლიურად გაითვალისწინოს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში საჭირო რაოდენობის სტუდენტთა მიღება რესტავრაციის სპეციალობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ყოველწლიურად გაითვალისწინოს მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომისათვის ძეგლების მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად საჭირო თანხების გამოყოფა.

12. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარმა სამეცნიერო-საწარმოო სამმართველომ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან, სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად 1978 წლის ოქტომბრამდე შეიმუშაოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა გამოყენებისა და ექსპლუატაციის კონკრეტული წინადადებანი, აგრეთვე 1979-1980 წლებში შესასრულებელ სამუშაოთა პერსპექტიული გეგმა და შესათანხმებლად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

13. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— კატეგორიულად აღკვეთონ ძეგლების მცველების საშტატო ერთეულების სხვა დანიშნულებით გამოყენება, ამ სამუშაოზე არაკომპეტენტურ და არასრულწლოვან პირთა დანიშვნა;

— განუხრელად შეასრულონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 9 იანვრის № 13 დადგენილება ადგილობრივი ბიუჯეტის ჭარბი შემოსავლის სახსრებით კულტურის ძეგლების მიმდინარე და პროფილაქტიკური შეკეთებისა და ტერიტორიების კეთილმოწყობის შესახებ.

14. დაევალოთ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, ცეკავშირს და „საქმელიორაციას“ — 1978 წლის 1 სექტემბრამდე მიიღონ გადამჭრელი ზომები „რესპუბლიკაში კულტურის ძეგლთა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 9 იანვრის № 13 დადგენილების, „ქალაქების თელავისა და სიღნაღის ისტორიული ანსამბლების დაცვა-აღდგენის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 2 ივნისის № 361 დადგენილების, „დავით გარეჯის კულტურის ძეგლთა მდგომარეობისა და მათი მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 20 ნოემბრის № 685 დადგენილების შესასრულებლად და შედეგები მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

15. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს განაცხადებით და საკუთარი სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაციების მეშვეობით 1979 წლიდან ყოველწლიურად აწარმოოს 150 ათასი მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეთის სამუშაოები კულტურისა და ბუნების ძეგლებთან დაკავშირებული საბინაო-კომუნალური მეურნეობის ობიექტების კეთილმოსაწყობად, გზების, წყალსადენებისა და კანალიზაციის გასაყვანად.

1979-1980 წლებში შესასრულებელი ამგვარი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია 1978 წლის 1 სექტემბრისათვის წარმოუდგინოს შესათანხმებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

16. დაევალოთ საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს განაცხადებით ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლებთან მისასვლელი გზების მშენებლობისა და რემონტისათვის, კავშირგაბმულობის საშუალებათა და წყალსადენთა მოსაწყობად ყოველწლიურად შეასრულონ 30 ათასი მანეთის სამუშაოები საკუთარი სახსრებით, ლიმიტებით, მოწყობილობითა და მასალებით.

1979-1980 წლებში შესასრულებელი ამგვარი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია 1978 წლის 1 სექტემბრისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

17. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ დაუმზადოს და მისცეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს საჭირო ზომის ხე-ტყის მასალა, მათ შორის ძვირფასი ჯიშებისა, არსებული წესებისა და ნორმების დაცვით და შემუშავებული განაცხადების მიხედვით.

18. საქართველოს სსრ სახმშენმა ყოველწლიურად გამოუყოს ქ. თბილისის, აგრეთვე ქალაქ-ნაკრძალების სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებს მათი განაცხადების მიხედვით საჭირო სახსრები ქალაქების ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის დეტალური პროექტების შესადგენად.

19. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 15 დღის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსათვის შესაბამისი სამუშაო ფართობის გადაცემის შესახებ, აგრეთვე გამოუყოს მას ქალაქის ფარგლებში 2 ჰექტარი მიწის ნაკვეთი სახელოსნოების გასაფართოებლად და საწყობების ასაგებად.

20. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ახლადშექმნილი ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს მუშაკებზე (გარდა მუზეუმების მუშაკებისა) გავრცელდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1968 წლის 29 დეკემბრის № 1045 დადგე-

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილების № 2 დანართით I ჯგუფის ტრესტების ხელმძღვანელი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი ხელფასები, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 12 დეკემბრის № 84 დადგენილების 129 ცხრილით გათვალისწინებული მოსამსახურეებისა და დაბალი მომსახურე პერსონალისათვის დამტკიცებული თანამდებობრივი განაკვეთების სქემები სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 24 სექტემბრის № 760 დადგენილების 21 პუნქტის გათვალისწინებით.

21. საქართველოს ძელგთა დაცვის საზოგადოებამ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით გახსნას დებულებით გათვალისწინებული სასუვენირო და შესაბამისი პროფილის საწარმოები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 24 თებერვალი, № 105.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 24 თებერვლის № 105
დადგენილების დანართი № 1

სტრუქტურა და საშტატო განრიგი

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსი

მთავარი სამმართველოს უფროსი — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე	1
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე სამეცნიერო დარგში	1
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე საერთო საკითხებში	1
მთავარი სამმართველოს უფროსის თანაშემწე — რეფერენტი	1
მდივანი-სტენოგრაფისტი	1
მდივანი-მემანქანე	1

საქმეთა მმართველობა

საქმეთა მმართველი	1
საქმეთა მმართველის მოადგილე	1
კადრებისა და სპეცმუშაობის უფროსი ინსპექტორი	1
მდივანი-მემანქანე	1

საერთო განყოფილება

განყოფილების გამგე	1
უფროსი საქმისმწარმოებელი	1
უფროსი ინსპექტორი	1
ინსპექტორი	1
არქივარიუსი	1
უფროსი მემანქანე	1
მემანქანე	5
შიკრიკი	1

ცენტრალური ბუღალტერია

მთავარი ბუღალტერი	1
მთავარი ბუღალტრის მოადგილე	1
ბუღალტერი	1
ბუღალტერ-რევიზორი	1
მოლარე-მოანგარიშე	1

საგეგმო-საფინანსო განყოფილება

განყოფილების გამგე	1
უფროსი მგეგმავი-ეკონომისტი	1
უფროსი ეკონომისტი	1
ეკონომისტი-ფინანსისტი	2

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილება

განყოფილების უფროსი	1
უფროსი საქონელმცოდნე	2
საქონელმცოდნე	1
ეკონომისტი	1

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

სამნეო განყოფილება

	1
განყოფილების გამგე	1
ინსპექტორი	6
დამლაგებელი	4,5
გუშაგი	

ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა რესტავრაციის სამმართველო

	1
სამმართველოს უფროსი	1
მდივანი-მემანქანე	

ისტორიისა და კულტურის ძეგლთა რესტავრაცია-კონსერვაციის განყოფილება

	1
განყოფილების გამგე	4
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	3
უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი	1
უფროსი ლაბორანტი	1
ლაბორანტი	

ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილება

	1
განყოფილების გამგე	1
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	2
უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი	1
უფროსი ლაბორანტი	

არქეოლოგიის განყოფილება

	1
განყოფილების გამგე	1
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	2
უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი	1
უფროსი ლაბორანტი	

მუზეუმების განყოფილება

	1
განყოფილების გამგე	1
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	2
უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი	1
უფროსი ლაბორანტი	

სპეციალური საპროექტო ბიურო

	1
უ ფ რ ო ს ი	10
პროექტის მთავარი არქიტექტორი	4
პროექტის მთავარი კონსტრუქტორი	10
უფროსი არქიტექტორ-რესტავრატორი	8
არქიტექტორ-რესტავრატორი	2
ინჟინერ-კონსტრუქტორი	6
ტექნიკოსი	

საპროექტო ბიუროს სახარჯთაღრიცხვო განყოფილება

	1
განყოფილების გამგე	1
ჯგუფის უფროსი	3
უფროსი ხარჯთაღმრიცხველები	1
ხარჯთაღმრიცხველი	

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეგლთა გამოყენების, აღრიცხვისა და ინფორმაციის სამმართველო

სამმართველოს უფროსი	1
მდივანი მემანქანე	1

ძეგლთა ადაპტაციისა და ექსპლუატაციის განყოფილება

განყოფილების გამგე	1
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	2
უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი	4
უფროსი ლაბორანტი	1
ლაბორანტი	1

აღრიცხვის, პასპორტიზაციისა და ინფორმაციის განყოფილება

განყოფილების გამგე	1
განყოფილების გამგის მოადგილე პასპორტიზაციის დარგში	1
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	2
უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი	3
უფროსი ლაბორანტი	3
განყოფილების გამგის მოადგილე ინფორმაციის დარგში	1
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	1
უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი	1
უფროსი რედაქტორი	1
მთარგმნელი	1
არქივის გამგე	1
ბიბლიოთეკის გამგე	1
ბიბლიოგრაფი	1
არქივარიუსი	1

ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური ინსპექცია

ინსპექციის უფროსი	1
ზონის უფროსი ინსპექტორი	4
ინსპექტორი	3

სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოების გაერთიანება

გაერთიანების დირექტორი — მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	1
მთავარი ინჟინერი	1
მთავარი არქიტექტორი	1
მეცნიერი კონსულტანტი	1
უფროსი ინჟინერ-მექანიკოსი	1
უფროსი ინჟინერ-ენერგეტიკოსი	1
კადრების ინსპექტორი	1
უფროსი საქმისმწარმოებელი	1
მ ნ ე	1
მდივანი-მემანქანე	1
დამლაგებელი	2
მეხანძრე	11

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოო-ტექნიკური განყოფილება

განყოფილების გამგე	1
უფროსი ინჟინერი	2
ინჟინერი	1
უფროსი ინჟინერ-ხარჯთაღმრიცხველი	1
ინჟინერ-ხარჯთაღმრიცხველი	1

საგეგმო-საფინანსო განყოფილება

განყოფილების უფროსი	1
უფროსი ინჟინერ-ნორმადარი	2
შრომისა და ხელფასის ინჟინერი	1
უფროსი ეკონომისტ-ფინანსისტი	1
უფროსი მგეგმავ-ეკონომისტი	1

ბუღალტერია

მთავარი ბუღალტერი	1
უფროსი ბუღალტერი	1
ბუღალტერი	1
ბუღალტერ-რევიზორი	1
მოლარე-მოანგარიშე	1

მომარაგების განყოფილება

განყოფილების უფროსი	1
განყოფილების უფროსის მოადგილე	1
უფროსი ბუღალტერი	1
უფროსი ექსპედიტორი	1
უფროსი საქონელმცოდნე	1
საწყობის გამგე	1

ფერწერისა და სხვა მხატვრული ნაწარმოებების რესპუბლიკური სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნო

სახელოსნოს გამგე	1
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	3
მეცნიერ-რესტავრატორი	12
უფროსი ლაბორანტი	4

სამეცნიერო-კვლევითი ტექნოლოგიური ლაბორატორია

ლაბორატორიის დირექტორი	1
სექტორის გამგე	2
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	8
უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი	3
უფროსი ტექნიკოსი	3
უფროსი ლაბორანტი	1

სპეციალიზებული საწარმოო სახელოსნო

სახელოსნოს უფროსი	1
მთავარი ინჟინერი	1
უფროსი მექანიკოსი	1
უფროსი ელექტრიკოსი	1
უფროსი ტექნიკოსი	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის, ნორიო-მარტყოფის, თელავის, დავით გარეჯის, გორის, ეცხეთა-ანანურის, ახალციხე-ვარძიის, ქუთაისის, სვანეთის, ზუგდიდის, სოხუმის, ბათუმის სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოები (დამოუკიდებელი ბალანსით)

ორთო სახელოსნოში შედის არანაკლებ:

სახელოსნოს უფროსი	1
მთავარი ინჟინერი	1
ინჟინერ-ეკონომისტი	1
ბუღალტერი	1
მოლარე-მოანგარიშე	1

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 24 თებერვლის № 105
დადგენილების დანართი № 2

სტრუქტურა და საშტატო განრიგი

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნების განყოფილებისა

გამგე	1
საექსპერტო კომისიის წევრი	1
უფროსი ინსპექტორი	2
ინსპექტორი	1

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 24 თებერვლის № 105
დადგენილების დანართი № 3

სტრუქტურა და საშტატო განრიგი

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებისა

საზოგადოების თავმჯდომარე	1
საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1
პასუხისმგებელი მდივანი	1
მემანქანე-სტენოგრაფისტი	1

მასობრივი მუშაობისა და პროპაგანდის განყოფილება

მასობრივი მუშაობის სექტორის გამგე	1
უფროსი რეფერენტი	2
უფროსი მეთოდისტი	2
პროპაგანდის სექტორის გამგე	1
უფროსი რეფერენტი	2
მთარგმნელი	2
მემანქანე	1

სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება

განყოფილების გამგე	1
რედაქტორი	2
მემანქანე	1

საერთო განყოფილება

განყოფილების გამგე	1
უფროსი საქმისმწარმოებელი	1
უფროსი ინსპექტორი	1
სამნეო ნაწილის გამგე	1
მთავარი ბუღალტერი	1
ბუღალტერი	1
მოლარე	1
უფროსი მგეგმავ-ეკონომისტი	1
მემანქანე	2
შიკრიკი	1

საწარმოო განყოფილება

განყოფილების გამგე — თავმჯდომარის მოადგილე	1
მთავარი ინჟინერი	1
წარმოების უფროსი	1
ინჟინერ-ნორმადარი	1

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 24 თებერვლის №ეკონომიკური
დადგენილების დანართი №ბიბლიოთეკა

ს ი ა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსადმი დაქვემდებარებული ბუნების ძეგლებისა

1. აბრსკილის მღვიმეების კომპლექსი	ოჩამჩირის რაიონი
2. ალბოვის უფსკრული (ფართო ინჭა)	წალენჯიხის რაიონი
3. ამირანის მთის ვულკანი	ახალქალაქის რაიონი
4. არსენ ოქროჯანაშვილის მღვიმე	წულუკიძის რაიონი
5. ბეთლემის ბ ე რ ი	ყაზბეგის რაიონი
6. ბირთვისის მღვიმე	თეთრი წყაროს რაიონი
7. ბოგის მღვიმე	ცაგერის რაიონი
8. „ბოდორნის სვეტები“	დუშეთის რაიონი
9. გარახის მღვიმე	ჩხოროწყუს რაიონი
10. გაქვავებული ტყე	ყაზბეგის რაიონი
11. გეგას მღვიმე და ჩანჩქერი	გუდაუთის რაიონი
12. გოდერძის უღელტეხილის გაქვავებული ტყე	ახალციხის რაიონი
13. გოგოლეთის მღვიმე	ამბროლაურის რაიონი
14. დავითის უბნის მღვიმე-გამოქვაბულები	დმანისის რაიონი
15. თეთრი მღვიმე	ქ. წყალტუბოს ზონა
16. „იაზონის მღვიმე“	ქ. ქუთაისი
17. ივერის მღვიმეების კომპლექსი	გუდაუთის რაიონი
18. ინწირის მღვიმე	წალენჯიხის რაიონი
19. კარიანი კლდის მღვიმე	ქ. ჭიათურის ზონა
20. კაცხის სვეტი	ქ. ჭიათურის ზონა
21. კელასურის მღვიმე	გულრიფშის რაიონი
22. კორცხალის მღვიმე	ზუგდიდის რაიონი
23. კუდარის 5 მღვიმე	ჯავის რაიონი
24. კოტიას კლდის (სვერის) მღვიმე	ქ. ჭიათურის ზონა
25. ლატალის მღვიმე	მესტიის რაიონი
26. მაღაროს (ცუცხვათის) მღვიმეები	ქ. ტყიბულის ზონა
27. მთის კალთის მღვიმე	სოხუმის რაიონი
28. მღვიმევი	ქ. ჭიათურის ზონა

ეროვნული ბიბლიოთეკა

29. მჭიშთას (შავწყალას) ვოკლუსი	გუდაუთის რაიონი
30. მღვიმეების კომპლექსი	გუდაუთის რაიონი
31. ნაზოდელავის მღვიმე	ჩხოროწყუს რაიონი
32. „ნავარხოხის ვულკანი“	ლენინგორის რაიონი
33. პირღებულის მღვიმე-გამოქვაბულები	თეორი წყაროს რაიონი
34. სავეკუოს მღვიმე	ჩხოროწყუს რაიონი
35. საირმის მეწყერი	ამბროლაურის რაიონი
36. სათაფლიის მღვიმეები	ქ. წყალტუბოს ზონა
37. სათოვლე (სათირო) ჭა	წალენჯიხის რაიონი
38. საწურბლიას მღვიმე	ქ. წყალტუბოს ზონა
39. ყუმისთავის მღვიმე	ქ. წყალტუბოს ზონა
40. სემის ბუნებრივი ხიდი	ქ. წყალტუბოს ზონა
41. სხვავის მღვიმე	ამბროლაურის რაიონი
42. ტყიბულა-ძეველულის მღვიმე	ტყიბულ-თერჯოლის რაიონების მიჯნაზე
43. ქვაცანცალია	წალენჯიხის რაიონი
44. „ქვის ბეჭედი“	გარდაბნის რაიონი
45. „ქუთაისის გვირაბი“	ქ. ქუთაისი
46. ღამურას მღვიმე	ყაზბეგის რაიონი
47. შქმერის მღვიმეები	ონის რაიონი
48. ცახის მღვიმე	ამბროლაურის რაიონი
49. ცოტნე დადიანის უფსკრული	წალენჯიხის რაიონი
50. წონის (ბუბას კლდის) მღვიმე	ჯავის რაიონი
51. ჭუთხარის მთის მღვიმე	ამბროლაურის რაიონი
52. ჯორწყუს მღვიმე	გეგეჭკორის რაიონი
53. მოთენის მღვიმე	გეგეჭკორის რაიონი
54. სულკატის მღვიმე	ქ. წყალტუბოს ზონა
55. ერატული რიყეები	ჩხოროწყუს, ყაზბეგის, ამბროლაურის, დუშეთის, ლენინგორისა და მესტიის რაიონებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 24 თებერვლის № 105
დადგენილების დანართი № 5

ს ი ა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულებებისა

1. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
2. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
3. ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
4. თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
5. ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
6. რუსთავის „
7. ახალქალაქის „
8. ბოლნისის „
9. ბორჯომის „
10. ვ ა ნ ი ს „
11. გეგეჭკორის „
12. გურჯაანის „
13. დუშეთის „
14. ყაზბეგის „
15. კასპის „
16. ლაგოდეხის „
17. ლანჩხუთის „
18. ლენტეხის „
19. მახარაძის „
20. მცხეთის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-საკრძალი
21. ო ნ ი ს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.
22. ორჯონიკიძის „
23. საგარეჯოს „
24. სიღნაღის „
25. თეთრი წყაროს „
26. თიანეთის „
27. ხაშურის „
28. ცაგერის „
29. წულუკიძის „
30. წყალტუბოს „
31. წითელწყაროს „
32. ჭიათურის „

ეროვნული ბიბლიოთეკა

33. ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
34. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის რესტავრაციის განყოფილების 14 საშტატო ერთეული
35. მუზეუმ-ნაკრძალი ვარძია
36. ქართული ხალხური ყოფისა და ხუროთმოძღვრების მუზეუმი
37. დავით გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალი
38. ფოტოკინოფიქსაციის ლაბორატორია
39. ქალაქ თბილისის ძეგლთა დაცვის ინსპექცია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა
ინდექსი—46184

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1 1978 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VIII-78 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16
საბეჭდი თაბახი 6,5 სააღრიცხვო თაბახი 6,5

შეკვეთა № 384 ᲗᲔ 01139 ტირაჟი 2000

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.

6 113/146.

ეროვნული ბიბლიოთეკა